სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 16 მაისი 2006 №109 (2731) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიშვალა-ჩაიშვალა

მტრის გასაჩარი ამბავი: გაგრამ და ცხინვალმა ერთმანეთი და ფეხბურთი ჩაწიხლეს

...110-ე წუთზე ცხინვალელთა მეკარე გიზო შენგელია და გაგრელი შემტევი მამუკაშვილი მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეეჯახნენ. ამით გულმოსულმა შენგელიამ ხელი ჰკრა მამუკაშვილს და... ატყდა გუნდური ცემა-ტყეპა. ორივე გუნდის მოთამაშეები საფეხბურთო კარში შეცვივდნენ და იქ ურტყამდნენ ერთმანეთს, ბადე დაიჭიმა, მაგრამ ყველაფერს გაუძლო; ტრიბუნიდან გულშემატკივრებიც გადავიდნენ მინდორზე და დაცვის თანამშრომლები საქმეს ვერ აუვიდნენ, რადგან ფეხბურთელების გამშველებლებიც იყვნენ და მოედანზე გადასული ხალხიც შესაკავებელი ჰყავდათ...

იხილეთ მეორე გვერდი

ბალაკი ჩელსის ბალახზე

მიხაელ ბალაკი გუშინ ლონდონში ჩაბრძანდა, სამწლიან კონტრაქტს ხელი მოაწერა და კვირაში 130 ათას გირვანქას ჩაიჯიბავს. ბალაკს „ბაიერნთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და მის სანაცვლოდ გერმანულმა კლუბმა ერთი ევროც ვერ მიიღო, გერმანელი ფეხბურთელი პირველია, ვინც „ჩელსიმ“ ახალი სეზონისთვის გადაიბირა.

მსოფლიოს ჩემპიონმა 23 ერისკაცი გაამზადა

ჯერ არ დაწყებულა მსოფლიოს ჩემპიონატი და კლინსმანმა უკვე გააოცა გერმანია — 23-კაციან განაცხადში შეიყვანა „დორტმუნდის“ ნახევარმცველი დავიდ ოდონკორი, რომელსაც ბუნდესნაკრებში არასოდეს უთამაშია. ახალწვეულები ჰყავს ბრაზილიის ნაკრებსაც: კარლოს ალბერტო პარეირამ ლიონელები — ფრედი და კრისი მიიწვია. კრისი ტრავმირებულ მცველ როკე ჟუნიორს შეცვლის, ფრედი კი თავდამსხმელებს დაეხმარება. 23-ში მოხვდა „სან პაულუს“ მეკარე როჟერიო სენი, ვისაც საკლუბო კარიერაში 50-ზე მეტი გოლი გაუტანია საჯარიმოებით თუ პენალტებით. ისედაც გამტან ბრაზილიას ესღა აკლდა... გერმანიას გუშინ პირველი სტუმარი ეწვია — ტოგოს ნაკრები ჩემპიონატის დაწყებამდე სამი კვირით ადრე ჩავიდა ადგილზე.

თავდასხმა

რონალდო (რეალი, ესპანეთი), ადრიანო (ინტერი, იტალია), რობინიო (რეალი, ესპანეთი), ფრედი (ლიონი საფრანგეთი)

ნახევარდაცვა

ემერსონი (იუვენტუსი, იტალია), ედმილსონი (ბარსელონა, ესპანეთი), ჟილბერტო სილვა (არსენალი, ინგლისი), ჟუნინიო (ლიონი, საფრანგეთი), ზე რობერტო (ბაიერნი, გერმანია), რიკარდინიო (კორინთიანსი), კაკა (მილანი, იტალია), რონალდინიო (ბარსელონა, ესპანეთი)

დაცვა

კაფუ (მილანი, იტალია), სისინიო (რეალი, ესპანეთი), ლუსიო (ბაიერნი, გერმანია), კრისი (ლიონი, საფრანგეთი), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), ჟილბერტო (ჰერტა, გერმანია), ჟუანი (ლევერკუზენი, გერმანია), ლუიზაო (ბენფიკა, პორტუგალია)

კარი

დიდა (მილანი, იტალია), როჟერიო სენი (სან პაულუ), ჟულიო სეზარი (ინტერი, იტალია)

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
ბენეფიციარი სპონსორი
„ბიბლიოთეკა“

საქართველოს XVII ჩემპიონატი ჰლეიოფი

უმაღლესი ლიგა

ცხინვალი და გაგრა შარში და ბადეში გაეხვივნენ

თბილისი. 16 სალომე. ამერი. 900 (ტევადობა 900)

ცხინვალი — გაგრა

110-ე წუთზე შეწყდა

0:1 კუპრეიშვილი (50), 1:1 ნოზაძე (75), 2:1 კ. ხანიშვილი (103)

ცხინვალი	გაგრა
ცხინვალი: გ. შენგელია, გ. ჩიტაია, ქარქუზაშვილი, გ. ლომიძე, ეჯოშვილი (მაისურაძე 60), კ. ხანიშვილი, ხაჭაპურიძე (ნ. ნოზაძე 60), სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, მძინარაშვილი (დ. ხანიშვილი 63), მ. თაყაძე	გაგრა: აბრამიშვილი, კუპრეიშვილი, მგალობლიშვილი, ახობაძე, ავალიანი, ტყეშელაშვილი, მგელაძე (აბერჩხიშვილი 88), მამუკ აშვილი, სამხარაძე, ჯოხაძე (კირკიტაძე 46), მეტრეველი (აფრომაშვილი 66)
სათადარიგონი: ფერსაევი, ბოლოთაშვილი, ხოხობაშვილი	სათადარიგონი: გიგაური, მესხი, ჩიხლაძე, მერაბიშვილი
მწვრთნელი: ივანე თაყაძე	მწვრთნელი: ვაჟა ტოგონიძე

გაფრთხილება: ბ. ჩიტაია (5), სამხარაძე (5) მგალობლიშვილი (7), მგელაძე (41), ქარქუზაშვილი (65), ახობაძე (89)

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე; ვ. ელისაბედაშვილი

ბაბუა ფიფიაშვილის ფოტო

...110-წუთიანი ბურთაობით და ჩხუბით გათანგულმა ფეხბურთელებმა რამდენიმე წამი შეისვენეს და მერე ისევ წიხლ-მუშტებით დააყარეს ერთმანეთს. ხელმეორე შეტაკება სამ-ოთხ წუთში დასრულდა.

ამის მერე თათბირის ჯერი დადგა — მსაჯები, მათი შეფი ამირან კაჭახიძე, პროფლიგის გენმდივანი რევაზ ლორთქიფანიძე იმაზე ბჭობდნენ, გაეგრძელებინათ თუ არა მატჩი. იყო სატელეფონო კონსულტაციები ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან. ბჭობამ 20 წუთამდე გასტანა და არბიტრმა ლაშა სილაგავამ გადაწყვიტა, მატჩი არ გაეგრძელებინა.

„ცხინვალი“ უკმაყოფილო დარჩა, რადგან 2:1-ს ივებდა და მატჩის დასრულებას ათი წუთიღა უკლდა. თუმც ისიცაა, რომ შენგელია ჩხუბში ისე დაშავდა, თამაშს ან გააგრძელებდა, ან ვერა, „ცხინვალს“ კი სამივე შეცვლა გახარჯული ჰქონდა.

მატჩის გადათამაშება; დარჩენილი ათი წუთის ჩათამაშება; ორივე გუნდის დისკვალიფიკაცია; თამაში ცარიელი ტრიბუნების წინ — მოკლედ, რამდენიმე ვარიანტია და გადაწყვეტილებას სადისციპლინო კომიტეტი მიიღებს — სხდომის ჩატარების თარიღი ალბათ დღეს გაირკვევა.

მაჩვენე შენი ლიცენზია!

ახლა ჰო, მაგრამ ორ წელიწადში?

ბურაგ დოლიძეგვილის ფოტო

ლიცენზირების სისტემა ჯერ იმდენად არა, მაგრამ ორ წელიწადში ეგებ ალესილი ნაჯახივით კისერზე დაესვათ ქართულ კლუბებს. 2008-2009 წლების სეზონში ვერც ერთი ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებს ულიცენზიო გუნდი. ასე რომ, საშიშროება, იცოცხლეთ...

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში კლუბების ლიცენზირების მენეჯერმა ლალი ლობჟანიძემ და პროფლიგის გენერალურმა მდივანმა რევაზ ლორთქიფანიძემ პრესკონფერენციაზე გამართეს, სადაც წლეულს ლიცენზიაგავლილ და ვერგავლილ კლუბებზე გვითხრეს, თუმცა ისეთებიც ყოფილან, რომლებსაც ამ პროცედურისთვის ყურადღება საერთოდ არ მიუქცევიათ...

ლალი ლობჟანიძე: „ლიცენზირება გაიარეს „სიონმა“, „ვიტ ჯორჯიამ“, „დინამომ“, „ამერმა“, „ბორჯომმა“, „სპარტაკმა“ და „ზესტაფონმა“. ზესტაფონელებს პირობითად მიეცათ ლიცენზია, მათ დოკუმენტაცია არ ჰქონდათ სწორად შედგენილი და 18 მაისს საბოლოო პასუხს ვეტვით.

...„კოლხეთმა“, „თბილისმა“ და „კახეთმა“ დოკუმენტები მოიტანეს, თუმცა ლიცენზია ვერ მიიღეს, „ბათუმმა“ და „ლოკომოტივმა“ წინასწარ გვაცნობეს, ვერ შევაგროვებთ დოკუმენტებსო, ხოლო დანარჩენ გუნდებს პროცედურის გავლაზე, მგონი, არც უფიქრიათ.

...მაისის ბოლოს უეფაში ლიცენზირებული კლუბების საბოლოო სიას გავაგზავნით. ძალიან ცუდია, რომ ზოგმა გუნდმა იგნორირება გაუკეთა ლიცენზირებას, რადგან მათ მომავალი სეზონიდან ნულიდან მოუხდებათ საქმის დაწყება“.

რევაზ ლორთქიფანიძე: „2008-2009 წლების სეზონიდან უმაღლეს ლიგაში ულიცენზიოები არ დაიშვებიან, ანუ იქამდე უნდა მოასწრონ ყველაფერი. წარმოიდგინეთ, 16-გუნდიანი ჩემპიონატის შემთხვევაში, სულ მცირე, რვა მოწესრიგებული მინდორი დაგჭირდება. თუ ეს ვერ მოხერხდა, მთლიანად ჩაკვდება ფეხბურთი საქართველოში. მარტივად რომ ვთქვათ, ერთ წელიწადში 6 სტადიონი (3000-იანი ტევადობით მაინც) თუ არ გვექნება, ცუდად წავა საქმე. ამასთან, კლუბებს მოწესრიგებული ბაზა უნდა ჰქონდეთ, ყველას უნდა ჰყავდეს 10 წლის და უფროსი ასაკის ბავშვთა გუნდები“.

ევროტურნირების დაწყებამდე საუკუნე როდი დარჩა, ამიტომაც ახლავე აქტუალურია, სად ითამაშებენ ქართული კლუბები. ევროტურნირებზე ჩვენი ოთხი გუნდია, რეალურად კი ჯერჯერობით მხოლოდ „მიხეილ მესხის“ სტადიონი აკმაყოფილებს ევრომოთხოვნებს. არადა, წესით, სულ მცირე, ორი სარბიელი მაინც უნდა იყოს სათანადო დონეზე.

„ვნახოთ, უეფას წარმომადგენელი ჩამოვა ერთ თვეში, ბოლნისის სტადიონს შეამოწმებს და ეგებ იქ ინტერტოტოს თასის მატჩის ჩატარებაზე დაგვთანხმდეს. დანარჩენ სამ კლუბს კი, როგორც ჩანს, ერთ სტადიონზე მოუწევს თამაში და ამაშიც უეფა უნდა დაგვეხმაროს — რომ დაინახავენ, ეროვნულ სტადიონზე გამალებული სამუშაოებია, შესაძლოა, ლმობიერება გამოიჩინონ“ — გვითხრა რევაზ ლორთქიფანიძემ.

ლალი ლობჟანიძემ ფეხბურთელების სამედიცინო შემოწმების აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი. ყველა კლუბი გარანტირებული უნდა იყოს, რომ მოთამაშეები ჯანმრთელად ჰყავს, თორემ ბოლო წლებში მატჩის მსვლელობისასაც მომხდარა ტრაგედიებიო.

„და კიდევ, იმ კლუბებს, რომლებსაც უარი ვუთხარით ლიცენზიის მიცემაზე, დღეს აქვთ აპელაციის შეტანის ბოლო ვადა. აქვე გეტყვით, რომ ლიცენზირების ხუთი კრიტერიუმია: სპორტული, ინფრასტრუქტურული, საკადრო-ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ფინანსური. აუცილებლად უნდა იყოს გარანტიები, რომ ჩემპიონატის მსვლელობისას კლუბი არ გაკოტრდება“ — დაამატა ლალი ლობჟანიძემ.

ილია ნანოგაშვილი

სიონმა უკვე დაიწყო

ბოლნისი აფრიკიდან იალტამდე გაიწელა

საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის „სიონს“ მალე ოთხი შავკანიანი ფეხბურთელი შეემატება — სამი კამერუნელი და ერთიც ნიგერიელი.

26 წლის მცველი ფრიდოლინ ბოიომო და მასზე ერთი წლით უმცროსნი, თავდამსხმელი ტონი აგადა, ასევე თავდამსხმელი გასტონ ევოჩე მემეჯი და ნახევარმცველი ერიკ ბაიემი მაემბლე ახლა საფრანგეთში არიან და საქართველოში წამოსასვლელად ემზადებიან. ამ ფეხბურთელების ჩამოსაყვანად უახლოეს დღეებში „სიონის“ ვიცეპრეზიდენტი დავით სილაგაძე და მწვრთნელი კახა ცხადაძე გაემგზავრებიან. ბოლოს ოთხივე ეს ფეხბურთელი პორტუგალიაში თამაშობდა და, როგორც გავიგეთ, არცთუ ურიგოდ.

ამ ნიგერიელ-კამერუნელების გარდა „სიონი“, სავარაუდოდ, ორ უკრაინელ ფეხბურთელსაც დაიმატებს, ხოლო „ძველ“ უკრაინელებს გურბიენკოსა და ლაშჩუკს კლუბი კონტრაქტებს ალბათ აღარ გაუგრძელებს. ახალი უკრაინელები „სიონს“ ალბათ იალტურ შეკრებაზე შეუერთდებიან. სწორედ უკრაინული ზღვისპირა შეკრების საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად ივნისის დასაწყისში იალტაში კახა ცხადაძე და კლუბის გენერალური მენეჯერი ჯემალ ჭიპაშვილი მიდიან. იქამდე კი, „სიონი“ 27 მაისს ბოლნისში შეიკრიბება, ხოლო 2 ივნისს სამედიცინო შემოწმებას გაივლის. გუნდის ხვა ახალწვეულთა და წამსვლელთა ვინაობაც სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა.

ამასობაში ბოლნისის „თამაზ სტეფანიას“ სტადიონზე სარემონტო სამუშაოები დაიწყო და, როგორც შევიტყვეთ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს თუ მატჩებს „სიონი“ ბოლნისში გამართავს. „თამაზ სტეფანიაზე“ პირველ ყოვლისა გამოიცვლება მოედნის საფარი და უმაღლესი ხარისხის მინდორი დაიგება. დამონტაჟდება ვიდეოტაბლო, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა ვიპ და ჟურნალისტთა ლოჟები, ასევე გაფართოვდება სტადიონის ტერიტორია.

მოკლედ, „სიონმა“ მზადება უკვე დაიწყო. ბოლნისის გამგეობა კი საამსაქმოდ არანაირ ხარჯებს არ ერიდება და კიდევ უფრო სერიოზულად ფიქრობს გუნდის გაძლიერებაზე.

კოგა ინასარიძე

ინგლისი
პირველი ლიგა
გადასასვლელი პლეი ოფი
ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ჰადერსფილდი 13 ბარნლი (10)

ირლანდია
პრემიერდივიზიონი
X ტური
კორკი 2:1 შელბურნი

რუსეთი
პრემიერლიგა. IX ტური
დინამო 0:0 სპარტაკი (მ)

ტულონის საერთაშორისო ტურნირი
20-წლამდელები
A ჯგუფი. I ტური
პორტუგალია 0:0 არგენტინა
ჩეხეთი 0:0 ჩინეთი

ისლანდია
პრემიერდივიზიონი
I ტური
ბრეიდაბლიკი 2:1 ვალიური

შვედეთი
ალსვენსკა. IX ტური
კალმარი 2:1 ჰალმსტადი

ცანკერმა ქიციც იცის და ქიცმაცურიც

კარგია ტექნიკა, ცუდია ფიზიკა-ტაქტიკა

„ქართველ ბავშვებს ტექნიკასა და ბურთთან მოპყრობას ვერავინ დაუწუნებს, მაგრამ გამძლეობასა და ტაქტიკაში კი მოიკოჭლებენ. უარყოფითი მხარეების აღმოფხვრაზე თუ კარგად ვიმუშავებთ, საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის კარგი შანსი გვექნება“ — გვითხრა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ჰერბერტ ცანკერმა, რომელსაც ბოლნისში ვესაუბრეთ. ცანკერი „თბილისი“ — „მეშაქრეს“ საპლეიოფო მატჩს ესწრებოდა. გეცოდინებათ, ქართველი 17-წლამდელები შემოდგომაზე თბილისში უმასპინძლებენ ოთხგუნდა ჯგუფის შეხვედრებს — ეს არის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი, საიდანაც მხოლოდ ერთი გუნდი გააგრძელებს ბრძოლას. მეტოქეები კი გერმანია, რუსეთი და მაკედონია არიან...

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

— ვიცით, რომ აქტიურ სასელექციო მუშაობას ეწევით. კმაყოფილი ხართ ქართველი ბავშვებით?

— უფრო მეტი სამუშაო წინ მელის. 180 ბავშვის ტესტირება ჩავატარეთ, ოთხი შეკრება კიდევ დაგვრჩა ჩასატარებელი, სადაც არა მხოლოდ ვარჯიშებს, არამედ ორმხრივ თამაშებსაც მოვაწყობ. როგორც იცით, წლეულს შესარჩევ ციკლში 1990 წელს დაბადებულებს და უმცროსებს შეუძლიათ თამაში, თუმცა მე 1991 და 1992 წლებში დაბადებულებსაც ვაკვირდები, რათა გაისად ნულიდან არ მომიწიოს საქმის დაწყება. თაობა კი ნაღდად ნიჭიერია, მონდომებაც ეტყობათ. ძალიან მეხმარება ნაკრებში ჩემი ასისტენტი ლევან ხომერიკიც.

— ფიზიკური და ტაქტიკური სისუსტე პატარა პრობლემა არაა. შეძლებთ ამის გამოსწორებას?

— უნდა შევძლოთ. საერთოდ, ამ კომპონენტებში სამხრეთული ქვეყნის ფეხბურთელები მოიკოჭლებენ, ეს მენტალიტეტის ამბავია — მათ სურთ, ბურთთან დიდი დრო გაატარონ.

— გერმანიაზე, რუსეთსა და მაკედონიაზე გარკვეული წარმოდგენა გექნებათ...

— რა თქმა უნდა. მაკედონია დაახლოებით საქართველოს მსგავს სტილში თამაშობს, რუსეთი უფრო დაცვაზე აკეთებს აქცენტს. ყველაზე უკეთ, ცხადია, გერმანელებზე გეტყვით: მე მყავს გერმანიაში ორი მეგობარი, რომლებიც 17-წლამდელებზე ინფორმაციებს არ მაკლებენ. ჩემს ქვეყანაში პატარა ასაკის ნაკრებები მაინცდამაინც არ ბრწყინავენ, მერე უფრო უმატებენ.

— ლუქსემბურგში 17-წლამდელთა ევროჩემპიონატის ფინალური ეტაპი მიმდინარეობს. მართალია, იქ 1989 წელს დაბადებულებსაც შეუძლიათ თამაში, მაგრამ ბევრი მათგანი ერთი წლით უმცროსიცაა. ამ ტურნირზე კი გერმანია და რუსეთი თამაშობენ...

— ცხადია, ინფორმაციებს ვიღებ ამ ტურნირიდან. აზრი არა აქვს, 1989 წელსაა დაბადებული ბავშვი თუ 1990-ში, ყველა ასაკობრივი ნაკრები ერთ კონცეფციაში, ერთ სისტემაშია მოქცეული და ტაქტიკაც ერთნაირი აქვთ.

— ჩვენი ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 1990 წელს დაბადებული რამდენიმე ბავშვი თამაშობს. ლეგიონერებიც ხომ არ გვყავს ამ ასაკში?

— კი, ერთი საფრანგეთშია, ერთი ლიხტენშტაინში და ორიც უკრაინაში, თუმცა მათ გვარებს ვერ გეტყვით. ვეცდებით, ოპტიმალური შემადგენლობა შევარჩიოთ და შემოდგომისთვის მზად ვიყოთ.

ბოლოს კი ცანკერმა საუბარი ქართული სიტყვებით დაამთავრა — წიწილებს „შემოდგომაზე“ ძიუდლიანო...

აქვე, ლუქსემბურგში დასრულებულ 17-წლამდელთა ევროჩემპიონატზეც ვთქვათ, სადაც სენსაციურად იჩემპიონა რუსეთის ნაკრებმა. ივორ კოლივანოვის გუნდმა ნახევარფინალში გერმანიას 72-ე წუთზე პრუდნიკოვის გატანილი გოლით 1:0 მოუგო, ფინალში კი ჩეხებთან ძირითად-დამატებით დროიანად 2:2 ითამაშა და პენალტებში 5:3 მოიგო. ფინალში რუსთაგან პრუდნიკოვმა 46-ე და მარენიჩმა 86-ე წუთებზე გაიტანეს.

ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების შემადგენლობა ჩეხეთთან ასეთი იყო: ჰომაზანი, მოროზოვი, სამსონოვი, გაგლოევი, პრუდნიკოვი, გორბატენკო (შჩერბიაკი 70), ბობროვსკი, რიყოვი (მარენიჩი 41), მოჩალინი, ამირხანოვი, კაშიევი (კარატაევი 73).

გერმანელმა ყმაწვილებმა კი რუსეთთან წაგებას მესამე ადგილისთვის მატჩში მარცხიც მიაყოლეს — ესპანეთთან ჰენალტებში 2:3 წააგეს, ძირითადი და დამატებითი დრო კი 1:1 დასრულდა, სადაც გერმანელთაგან მანუელ ფიშერმა გაიტანა.

აი, მათი შემადგენლობა ესპანეთთან: ვრზოგიჩი, შროჩი, ს. ბენდერი, გებჰარდტი, ბურჰერტი, რეინჰარტი, ვიტეკი, ლაცა, ვრანჩიჩი, ჰუკე (ფიშერი 41), ლორენცი (მარინი 41)

ილია ნანოგაშვილი

სიახლე
ჯეოსელისგან
ჯეო-მიქსი!

GEO *123#
ჯეო MX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
ფეხბურთის
ს ე ზ ო ნ ი ს
ფეხბურთის ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

ოქროყანიდან თასის ფინალამდე

გამოიძინეთ და კარგად გაერთეთ

საგოლე პასი და ჩინებული გოლი — თასთან ერთად 18 წლის რატი წინამძღვრიშვილმა ესეც მოინაგრა საქართველოს თასის ფინალში „ზესტაფონთან“. ტიტული, პასი და გოლი — ეს იწერება სტატისტიკაში, ამის იქით კი ის იყო, რომ რატი ამ მატჩის ეპიზოდებში ჩამოყალიბებული ოსტატივით ირჯებოდა — არანაირი ფაფხური, სწორი თამაში — წინამძღვრიშვილზე ბევრს ლაპარაკობდნენ შარშან, ახლა კი მან აალაპარაკა ბევრი...

ბადრი ქეთილაძის ფოტო

მარდი რატი

ოქროყანიდან თბილისამდე ათიოდე კილომეტრი თუ იქნება და რატი იქიდან დადიოდა თბილისში, რათა „ნორჩი დინამოელის“ სკოლაში ფეხბურთზე ევლო. ოჯახი რატის ფეხბურთელობის წინააღმდეგი იყო და ისიც ოქროყანიდან თბილისში იპარებოდა ხოლმე.

„თამაზ კოსტავასთან მივედი და მან თავის მეოთხე გუნდში ჩამრიცხა. მერე თანდათან ისე მოხდა, რომ კოსტავამ პირველ გუნდში გადამიყვანა. 2002 წელს ზურაბ ფოცხვერიამ შექმნა „მარდი“, მთელი ბირთვი იქ გადავედით და ვიტალი დარასელიას სახელობის თასზე 67 გოლი გავიტანე, ბომბარდირი გავხდი, ხოლო მერე ამ გუნდის ბაზაზე „ამერი“ ჩამოყალიბდა“ — იხსენებს წინამძღვრიშვილი.

„მარდის“ მთავარი მწვრთნელი კოსტავა იყო, მწვრთნელთა შტაბში იყო გაიოზ დარსაძეც, რომელმაც „მარდის“ ბაზაზე შექმნილი „ამერი“ ჩაიბარა — 2003-2004 წლებში „ამერი“ პირველ ლიგაში თამაშობდა, ეს გუნდი იყო სინთეზი 1988 წელს დაბადებული ფეხბურთელებისა და ისეთი გამოცდილი მოთამაშეებისა, გიორგი ჩიხრაძე, გიორგი ლუდუშაური და გია კილასონია რომ იყვნენ. რატი მაშინ 15 წლის იყო, ბევრ მომენტს ჰქმნიდა, მაგრამ ბევრი ვერ გაჰქონდა.

„ზრდასრულ ფეხბურთელებთან თამაში მიჭირდა, ეს ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ნელ-ნელა ვეჩვეოდი, მწვრთნელები კი სულ იმას მეუბნებოდნენ, მეტი იმოძრავეო“ — გვიყვება წლევანდელი თასის ფინალის ერთ-ერთი გმირი.

იმ სეზონში „ამერს“ ხელი მოეცარა, პირველი ლიგიდან გავარდა, თუმცა ფეხბურთის ფედერაციამ გუნდების რაოდენობა გაზარდა და „ამერი“ პირველ ლიგაში დარჩა.

მომდევნო სეზონიდან „ამერის“ მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე გახდა, გუნდმა უმაღლეს ლიგაში სახელდაგდებული რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატა, მათ შორის ფორვარდი სულიკო დავითაშვილიც და წინამძღვრიშვილი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა თერთმეტ კაცში. მიუხედავად ამისა, სეზონში მაინც გაიტანა 11 გოლი. რატიმ ნაბიჯი გადადგა სანაკრებო კარიერაშიც — 17-წლამდელთა ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, შესარჩევ ციკლში მაკედონიასთან ორი გოლიც გაიტანა.

ოთხთვიანი ორომტრიალი

შარშან ზაფხულში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გახდა, რომელმაც ეროვნული ნაკრების თავკაცად გაიოზ დარსაძეს უხმო, დარსაძე იყო დანარჩენი ნაკრებების ფაქტობრივი ხელმძღვანელიც. სანამ დარსაძე ჩვენს უპირველეს გუნდში გამოიძახებდა 17 წლის ფეხბურთელებს, წინამძღვრიშვილმა ახალგაზრდულ ოლიმპიურ ტურნირში ითამაშა იტალიის ქალაქ ლინიანოში, სამ მატჩში სამი გოლი გაიტანა, ხოლო ქართველებმა იტალიას 2:0 რომ მოუგეს, გოლის გარდა საგოლე პასითაც გამოირჩა.

ცოტაც და, დარსაძემ ეროვნულ ნაკრებში სამ 17 წლის ფეხბურთელს უხმო — გიორგი განუგრავას, ბექა გოცირიძეს და წინამძღვრიშვილს. ისინი მანამდე თანაგუნდელები იყვნენ „მარდში“ და „ამერში“. დარსაძის საქმიანობასა და მის უპრეცედენტო სანაკრებო პოლიტიკაზე დიდი აურზაური ატყდა, იყო ათასი მითქმა-მოთქმა, ათასი ტყუილ-მართალი.

„დარსაძეს მე და რამდენიმე ფეხბურთელი გამორჩეულად მოვწონდით ჯერ კიდევ „ამერში“. მას ჩემდამი ყოველთვის კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ ჩემთვის არასდროს შემოუთავაზებია მენეჯერული ხელშეკრულების გაფორმება“ — განგვიმარტა რატიმ.

დარსაძის ხანაში წინამძღვრიშვილს სამ ნაკრებში უწევდა თამაში — 19-წლამდელებში, ახალგაზრდულში და ეროვნულში.

„სულ უცხოეთში ყოფნა, სულ მგზავრობა — ამ ყველაფერმა ოთხ თვეში მომიწია და ბევრი რამ ამერია, ალბათ ამიტომაც იყო, რომ „ამერში“ საქმე კარგად აღარ მიმდიოდა“ — კლუბში საკვანძო ფეხბურთელად ვერდამკვიდრებული წინამძღვრიშვილი დარსაძემ წინა შესარჩევ ციკლში ორჯერ ათამაშა ეროვნულში — ყაზახეთთან თბილისური მატჩის ბოლოს შეიყვანა მოედანზე, ხოლო ათენში საბერძნეთთან მთელი მეორე ტაიმი ათამაშა.

მაშინ ეროვნულ გუნდში არ იწვევდნენ რამდენიმე ისეთ ფეხბურთელს, ნაკრებში თავი არაერთხელ რომ გამოუჩენიათ და იმ დროისთვისაც რიგიანად რომ თამაშობდნენ თავიანთ კლუბებში.

„ამის გამო, ცოტა არ იყოს, უხერხულად ვგრძნობდი თავს. პირველ ნაკრებში ჩემი თამაში ნაადრევი იყო, მაგრამ ამან ბევრი რამ შემძინა — ურთიერთობა ნაკრების ფეხბურთელებთან, გავიგე, თუ რა იყო ეროვნული ნაკრები, ჩავიხედე გუნდის სამზარეულოში“ — გვეუბნება წინამძღვრიშვილი.

ჯეობარი

ასე იყო თუ ისე, 17 წლის რატი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი გახდა და რადგან „ამერში“ ძირითადში ვერ ხვდებოდა, სხვა გუნდში გადასვლა სურდა, იმ პერიოდს წინამძღვრიშვილი ასე იხსენებს: „ემოციებით ვიყავი დატვირთული, მაგრამ ეს ემოციები არასწორი იყო. რუსეთში წასვლას ვაპირებდი, იყო შემოთავაზება „ზესტაფონიდანაც“. ბოლოს კარგად დავფიქრდი და „ამერში“ დავრჩი — ვფიქრობ, სწორადაც მოვიქეცი. იმ პერიოდში ჩემზე ბევრს ლაპარაკობდნენ, ცუდსაც ამბობდნენ და ეს ნერვებს მიშლიდა, მაგრამ ვცდილობდი, თავი შემეკავებინა“.

რატი „რუსთავი 2“-ის რეიტინგულ გადაცემა „ჯეობარშიც“ გამოჩნდა, სიგარეტი ეჭირა და ამბობდა, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ვარო. ამან ბევრი გაალიზიანა, ზოგმა სულაც ძალიან სერიოზული მნიშვნელობა მიანიჭა წინამძღვრიშვილის ჯეობარულ ამბავს.

„უბრალოდ, სიგარეტი დავიჭირე და ლაპარაკს შევყევი, ამ ყველაფრისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია და არც სხვას უნდა მიენიჭებინა ამისთვის სერიოზული მნიშვნელობა. რაც „ჯეობარში“ ნახეთ, ასეთი ქცევა არ მახასიათებს“ — ამბობს რატი.

ეროვნულმა ნაკრებმა მორიგი ჩაფლავებული ციკლი ჩაამთავრა, დარსაძე გუნდიდან გაუშვეს, წინამძღვრიშვილი კი წლეულს იანვარში ახალგაზრდული ნაკრებში მიიწვიეს და პორტუგალიურ ტურნირში სათამაშოდ წაიყვანეს.

ბევრიც არაფერი

„ამ შეკრებაზე ჩემ მიმართ ცუდი სიტუაცია შეიქმნა, ნერვები ძალიან მომეშალა, ძირითადში აღარ მაყენებდნენ. „ამერში“ დარჩენა მტკიცედ გადავწყვიტე და ყველაფრის თავიდან დაწყებამ მომიწია, ნელ-ნელა მოვახერხე „ამერის“ ძირითადში დაბრუნება. რაც თავს გადამხდა, ეს სპორტული კარიერის ეპიზოდი იყო, თორემ ჩემს მენტალიტეტში და აზროვნებაში ბევრიც არაფერი შეცვლილა“ — ასე მიაჩნია წინამძღვრიშვილს, რომელიც იმასაც ამბობს, რომ თასის ფინალში „ზესტაფონის“ დამარცხება პირველ რიგში გუნდის ერთიანობამ განაპირობა — „მთლიანად კლუბი ისე იყო ერთ მუშტად შეკრული, რომ აუცილებლად უნდა მოგვეგო.“

ახლა რატი იმაზე ოცნებობს, რომ ადრიანოს ტიპის ფორვარდად ჩამოყალიბდეს. დილის ათ საათზე ადგომა, საუზმე, დასვენება, ვარჯიში და გართობა — მრავალფეროვანი გართობა ისევე აუცილებელია, როგორც კარგად გამოძინება. „როგორ ვერთობი? რაცკი ამ პატარა თბილისში ხდება, ყველაფერში ჩართული ვარ“ — აი, ასეთია რატი.

დავით თავართქილაძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
ჩვენი მეტოქე

სმიტმა სიტყვები დაკარგა და პროგრესს მიაგნო

შოტლანდიამ „კირინის თასი“ მოიგო — ასე დაიწყო მუშაობა თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში მთავარმა მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა, ვინც ნაზ-ეიმევს ასეთი კომენტარი გააკეთა: „უზომოდ კმაყოფილი ვარ. არ შემიძლია, ეს სიტყვებით გადმოგცეთ. ვამაყობ ჩემი გუნდით. ამ ტურნირზე ბევრი რამ ვისწავლეთ და აშკარაა, პროგრესს განვიცდით“.

შოტლანდიელებმა ოთხგუნდა ტურნირის პირველ მატჩში ბულგარეთს 5:1 მოუგეს, მასპინძელ იაპონიასთან კი 0:0 ითამაშეს და 4 ქულით გაჩემპიონდნენ.

ჩვენმა მომავალმა მეტოქემ იაპონელებთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ალექსანდერი, ვეირი, მარტი (მაკნამი 79), მაკკალოხი (მილერი 69), მაკფადენი (ბოიდი 59), სევერინი (რაე 46), კოლდუელი, ანდერსონი, ნეისმიტი (მიურეი 46), ტილი (მარკი 59), ფლეტჩერი.*

სხვათა შორის, ეს შოტლანდიის ნაკრების პირველი ტიტულია ბოლო 20 წელიწადში.

კახა შალამბერიძე

ზურაბ იონანიძე „ზესტაფონის“ ლიდერი

ზურაბ იონანიძე, „ზესტაფონის“ ლიდერი და საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი როგორც ყოველთვის, „ამერთან“ სათასო ფინალშიც გამორჩეული ფიგურა იყო. ამ 33 წლის ფორვარდმა ფინალშიც ორჯერ გაიტანა, ერთი ანგარიშის გამთანაბრებელი, მეორე — მატჩის შემდგომი პენალტი. იონანიძემ ერთი ნაღდი საგოლე მომენტიც გააცუდა, საბოლოოდ კი მისი გუნდი ამჯერზეც ხელმოცარული დარჩა — შარშან „ზესტაფონი“ „ლოკომოტივთან“ დამარცხდა, ახლა „ამერთან“...

ასეთი ფინალი არ მინახავს

ზურაბ იონანიძე: ზესტაფონმა მონდომებით წააგო

— მერე რა, რომ საქართველოს თასის ორგზის მფლობელი ვარ, ფეხბურთს მხოლოდ მოსაგებად ვთამაშობ და, რა თქმა უნდა, „ამერთანაც“ ასეთი განწყობა მქონდა — გვითხრა ზურაბ იონანიძემ — ჩვენ ძალიან გვსურდა თასის ზესტაფონში წაღება, მაგრამ შაბათის საღამოს საშინელი იმედგაცრუების მეტი არაფერი მიგვიღია. ფინალის მოსაგებად „ზესტაფონმა“ ყველაფერი გააკეთა, შესაძლებლობების მაქსიმუმით ვითამაშეთ, მოვინდომეთ, მატჩის შემდეგ კი გულდაწყვეტილები დავრჩით. ყველაზე საწყენი ისაა, რომ თბილისში მრავლად ჩამოსული ზესტაფონელი ქომაგი დავაღალატეთ, იმედები ვერ გავამართლეთ. თუმცა ისიც საქმელია, რომ „ამერმა“ დამსახურებულად მოიგო.

— რის ხარჯზე?

— ვფიქრობ, მეტოქეს უფრო გაუმართლა. ჩვენ ხომ თამაში არ წაგვიგია, წავაგეთ პენალტებით. არადა, ამდენი ხანია ვთამაშობ, ბევრჯერ თასის ფინალშიც ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი საინტერესო და მაღალი დონის შეხვედრა არ მახსოვს. ორივე გუნდმა ლამაზად, მგონი, ქომაგისთვის მოსაწონად ითამაშა, თუმცა ამ სილამაზეს ჩვენთვის კარგი არაფერი მოუტანია. ამიტომაც, სჯობს ცუდად ითამაშო და მოიგო, ვიდრე ლამაზად და მერე ჩვენსავით გულნატკენი დარჩე... ემოცია დღესაც არ გამნელებია, გონებაში სულ ეს მატჩი მიტრიალებს...

— და წაგების მიზეზი ვერ გიპოვია?

— იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩვენ ზედმეტმა მონდომებამ, ზედმეტმა ემოციამ წაგვაგებინა. თანაც მეტოქე მატჩისას ორჯერ იგებდა და სულ წაგების შიში გვქონდა. ასეთმა ემოციამ და ზედმეტმა მონდომებამ კი, ვფიქრობ, ჩვენზე უარყოფითი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა, თანაც, მეტოქეც ხომ გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია. მათ თავიანთი საქმე ჩინებულად გააკეთეს, იღბალიც წაეხმარათ, ჩვენ კი თავს ზემოთ ძალა აღარ გვქონდა.

— ფინალამდე ითქვა, გუნდში არცთუ სახარბიელო ფინანსური ვითარებაა და თუ „ზესტაფონმა“ თასი წააგო, ფეხბურთელები ძველ პრემიებსაც ვერ მიიღებენო...

— არ ვიცი, ფინანსურ საკითხებზე ვერაფერს გეტყვით.

— მომავალ სეზონს ისევ „ზესტაფონში“ ჩაატარებ?

— ვნახოთ, წავალ თუ დავრჩები, ჯერ არ გადამიწყვეტია. ისე კი, „ზესტაფონს“ ზამთრამდე ვეკუთვნი. ახლა ყველა შვებულებაში ვართ, ვისვენებთ. შევიკრიბებით და კლუბის ხელმძღვანელებთან სამომავლო ამბებზეც მერე დავილაპარაკებ.

— საქართველოს ნაკრებიდან ხომ არ დაგკავშირებიან?

— არავინ. არადა, ამ ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ შესაძლოა, ნაკრებში გამომიძახონ. თუ ასე იქნება, ძალიან მესიამოვნება და ისეთივე მონდომებული ვიქნები, როგორც ყოველთვის. ისე კი, ვფიქრობ, ასაკი ჯერ კიდევ არ მეტყობა...

კობა ინასარიძე

ქართველები უცხოეთში

ვერცხლის ტური

ქართველები ტიტულს არ გააკარეს

ერთბაშად სამი ქართველი ვერ შესწვდა ჩემპიონობას — აი, ასეთი გამოდგა ეს უქმეები ჩვენებურებისთვის. ამ სამეულიდან *კახა კალაძის* „მილანის“ ვერგაჩემპიონება კიდევ მოსალოდნელი იყო, მაგრამ *მიხეილ ყველაშვილის* „ბაზელის“ და *ოთარ მარცვალაძის* „დინამოს“ ვერცხლს კი შეგვიძლია, სენსაციურიც ვუწოდოთ.

მივყვეთ მიმდევრობით...

„მილანმა“ ბოლო წუთზე აჯობა „რომას“, 2:1 მოიგო, თუმცა ამ დროს „იუვენტუსმაც“ მეორე გოლი გაუტანა „რეჯინას“ და სამ ქულასთან ერთად ოქროც გაინაღდა. შავ-წითლები კი ოდენ მეორეობას დასჯერდნენ, რაც, ალბათ, ლოგიკურიც იყო.

ბოლო წუთმა დაღუპა „ბაზელი“. მთელი სეზონი ბაზელელები დინჯად და აუღელვებლად ლიდერობდნენ სატურნირო ცხრილს, თუმცა ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე ერთადერთ კონკურენტ „ციურიხთან“ 1:2 წააგეს, ქულებით გაითანაბრეს და ურთიერთშეხვედრებით ჩემპიონობაც „გადააბარეს“. სხვათა შორის, *ლადო ახალაიას* ყოფილმა გუნდმა მიხეილ ყველაშვილის ამჟამინდელ გუნდს გამარჯვება 93-ე წუთზე გამოჭვლიჯა ხელიდან.

უკრაინაში კი სულაც „ოქროს მატჩის“ გამართვა გახდა საჭირო: კიევის „დინამო“ დონეცკის „შახტარს“ დაუპირისპირდა და უდაბულესი მატჩის დამატებით დროში 1:2 წააგო, არადა, ამ მატჩამდე ლამის მთელი უკრაინა კიეველია ტრიუმფს ვარაუდობდა...

ოთარ მარცვალაძეს ამ შეხვედრაში არ უთამაშია...

კახა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	რომა 2:1	90		28	2	2
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	შტუტგარტი 3:2	90		31	2	4
ლევან ცქიტიშვილი	ვოლფსბურგი	შ	ლაუტერნი 2:2	0	ტრავმირებულია	14	0	15
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ფიურტი 1:0	0		25	4	4
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	შ	ფიურტი 1:0	2	შეცვლაზე ითამაშა	9	0	4
დავით სირაძე	აუე	შ	ზიგენი 0:2	0		8	4	7
გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	ზტ. პაული	შ	კიოლნი (მ) 0:2	90	2 გოლი	26	4	5
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	ბაიროითი	ს	კობლენცი 2:2	0		19	12	9
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყველაშვილი	ბაზელი	შ	ციურიხი 1:2	0		8	4	2
ნორვეგია. ტიპელიგა								
ლევან მელქაძე	ვოლერენგა	შ	ლილესტრიომი 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	2	0	12
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ტორპედო 4:1	90	საგოლე პასი, გააფრთხილეს	3	0	6
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	ს	ტორპედო 4:1	0	განაცხადში არ იყო	3	0	6
მათე ღვინინინიძე	ლოკომოტივი	ს	ტორპედო 4:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	6
მიხეილ აშვეთია	რუბინი	ს	ზენიტი 0:1	0	ტრავმირებულია	5	0	2
გიორგი ქინქლაძე	რუბინი	ს	ზენიტი 0:1	0	ტრავმირებულია	0	0	2
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	ს	ზენიტი 0:1	0	ტრავმირებულია	5	0	2
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	ს	ზენიტი 0:1	0	განაცხადში არ იყო	0	0	2
ზურაბ არზიანი	რუბინი	ს	ზენიტი 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
ბექა ულენტი	ტორპედო	შ	ლოკომოტივი 1:4	0	განაცხადში არ იყო	0	0	14
დავით მუჯირი	კრილია	ს	სატურნი 1:1	79	შეცვალეს	8	3	5
გიორგი ლომაია	ლუჩ-ენერგია	ს	ტომი 1:2	0	სათადარიგო	0	0	13
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	ს	შინიკი 1:0	89	შეცვალეს	7	0	4
ალექსანდრე ჩიხრაძე	ნალჩიკი	ს	შინიკი 1:0	90		9	0	4
უკრაინა. უმაღლესი ლიგა. ოქროს მატჩი								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	ნ	შახტარი 1:2 დ.დ.	0		4	0	2
კახა ალადაშვილი	დინამო	ნ	შახტარი 1:2 დ.დ.	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	ს	დიტონი 1:1	90		5	0	3
ზაალ ელიავა	სკონტო	ს	დიტონი 1:1	28	შეცვალეს	4	0	3
დავით ჩალაძე	სკონტო	ს	დიტონი 1:1	0	განაცხადში არ იყო	3	0	3
თამაზ პერტია	დიტონი	შ	სკონტო 1:1	0	სათადარიგო	2	0	4
ყაზახეთი. სუპერლიგა								
გიორგი გოგიაშვილი	ვოსტოკი	შ	ატირაუ 1:0	74	შეცვალეს	5	1	8
ზვიად ჯელაძე	ვოსტოკი	შ	ატირაუ 1:0	63	შეცვალეს	2	0	8
ზურაბ არჩვაძე	ეკიბასტუზეცი	შ	შახტიორი 0:1	90	გააფრთხილეს	4	0	9

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

მსოფლიოს თასი

გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

მეკარეები	
იენს ლემანი	არსენალი, ინგლისი
ოლივერ კანი	ბაიერნი
ტიმო ჰილდებრანდი	შტუტგარტი
მცველები	
არნე ფრიდრიხი	ჰერტა
რობერტ ჰუთი	ჩელსი ინგლისი
მარსელ იანსენი	მიონხენგლადბახი
პერ მერტესაკერი	ჰანოვერი
კრისტოფ მეცელდერი	დორტმუნდი
ფილიპ ლამი	ბაიერნი
იენს ნოვოტნი	ლევერკუზენი
ნახევარმცველები	
მიხაელ ბალაკი	ბაიერნი
ბასტიან შვაინშტაიგერი	ბაიერნი
ტიმ ბოროვსკი	ვერდერი
ტორსტენ ფრინგსი	ვერდერი
სებასტიან კელი	დორტმუნდი
ბერნდ შნაიდერი	ლევერკუზენი
თომას ჰიცლშპერგერი	შტუტგარტი
დავიდ ოდონკორი	დორტმუნდი
თავდამსხმელები	
მიროსლავ კლოზე	ვერდერი
ლუკაშ პოდოლსკი	კიოლნი
მაიკ ჰანკე	ვოლფსბურგი
ოლივერ ნოივილი	მიონხენგლადბახი
ჯერალდ ასამოა	შალკე

ოდონკორიო???

23-კაციან განაცხადში გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა ორი მოულოდნელობა ჩაწერა, დავიდ ოდონკორი, რომელსაც ნაკრებში ერთხელაც არ უთამაშია და ვეტერანი იენს ნოვოტნი. კლინსმანის თქმით, 22 წლის დორტმუნდელ ოდონკორს გუნდისთვის ფანტაზიის შემატება შეუძლია, რითაც იგი ნაწილობრივ მაინც შეძლებს ტრავმირებული სებასტიან დაისლერის დანაკლისის შევსებას.

„როდესაც დავურეკე და ვუთხარი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიმყავს, სიხარულით მეცხრე ცას ეწია. ახლა მთავარია, ზედმეტმა განცდამ და პასუხისმგებლობამ არ შებოჭოს. რაც შეეხება ნოვოტნის, ის ნაკრებში ფრიად გამოცდილია, 45 მატჩი აქვს ჩატარებული, რომელთაგან ბოლო ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. ის გამოცდილია და დაშავებულ კრისტოფ მეცელდერს დააზღვევს“.

პაპუნა კედია

ზოგი ასე უბერავს

მეკარეები	
იკერ კასილიასი	რეალი
ხოსე მანუელ რეინა	ლივერპული, ინგლისი
სანტიაგო კანისარესი	ვალენსია
მცველები	
კარლეს პუიოლი	ბარსელონა
მიჩელ სალგადო	რეალი
სერხიო რამოსი	რეალი
კარლოს მარჩენა	ვალენსია
ასიერ დელ ორნო	ჩელსი, ინგლისი
ანტონიო ლოპესი	ატლეტიკო
პაბლო იბანიესი	ატლეტიკო
ხუანიტო გუტიერესი	ბეტისი
ნახევარმცველები	
დავიდ ალბელდა	ვალენსია
ხაბი ალონსო	ლივერპული, ინგლისი
ხოაკინ სანჩესი	ბეტისი
ფრანსესკ ფაბრეგასი	არსენალი, ინგლისი
ანდრეს ინიესტა	ბარსელონა
ხავი ერნანდესი	ბარსელონა
მარკოს სენა	ვილიარეალი
ლუის გარსია	ლივერპული, ინგლისი
თავდამსხმელები	
ხოსე ანტონიო რეიესი	არსენალი, ინგლისი
დავიდ ვილია	ვალენსია
ფერნანდო ტორესი	ატლეტიკო
რაულ გონსალესი	რეალი

„ლივერპულის“ თავდამსხმელი ფერნანდო მორიენტესი მსოფლიოს ჩემპიონატს ტელევიზორში ნახავს — ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა „რეალის“ ყოფილი ვარსკვლავი 23 კაციან განაცხადში არ შეიყვანა. მეორე მხრივ, არაფრისმთქმელი სეზონის მიუხედავად, არაგონესმა „ვალენსიას“ მცველი კარლოს მარჩენა ჩაწერა ამ სიაში.

მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ „ვალენსიას“ მოთამაშეები რუბენ ბარახა, ვისენტე, ხუან კაპდევილია და ხავი ვენტა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი, მწვრთნელს, ერთი კვირის წინ საგანგებო შეკრებაზე ჰყავდა გამოძახებული.

მართალია, ტრავმების გამო სეზონში უამრავი მატჩი გაუცდათ „რეალის“ თავდამსხმელს რაულსა და „ბარსელონას“ ნახევარმცველ ხავის, მაგრამ საბოლოო სიაში ორივეს გვარის ამოკითხვა შეიძლება.

მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ესპანეთის ნაკრები ამხანაგურ შეხვედრებს გამართავს რუსეთთან, ეგვიპტესთან და ხორვატიასთან.

პაპუნა კედია

კუბო ფიზიკაში ჩაიჭრა

„ამ გუნდით იაპონია იამყებს“ — განაცხადა გუშინ იაპონელთა მწვრთნელმა ზიკომ პრესკონფერენციაზე, სადაც სამსოფლიოსჩემპიონატოდ 23 ფეხბურთელის ნუსხა გამოფინა. ზიკომ ნაკრებში არ შეიყვანა „იოკოჰამას“ ფორვარდი ტაცუჰიკო კუბო და მის ნაცვლად 25 წლის სეიჩირო მაკის უხმო. „კუბო ფიზიკურად მოისუსტებს, მაკი კი ახლა უკეთეს ფორმაშია. ის საჯარიმო მოედანში მეტად სახიფათოა“ — აღნიშნა მწვრთნელმა. მაკის ცხრა სანაკრებო მატჩში სამი გოლი გაუტანია და ახლახან გამართულ კირინის თასზე ზიკოს თავი მოაწონა.

მეკარეები	
იოშიკაცუ კავაგუჩი	ჯუბილო ივატა
იოჩი დოი	ტოკიო
სეიგო ნარაზაკი	ნაგოია გრამპუს ეითი
მცველები	
ცუნეიამუ მიამოტო	გამბა ოსაკა
ალექსი	ურავა რედსი
იუჯი ნაკაზავა	იოკოჰამა მარინოსი
მაკოტო ტანაკა	ჯუბილო ივატა
აკირა კაჯი	გამბა ოსაკა
კეისუკე ცუბოი	ურავა რედსი
იუიჩი კომანო	სანფრესე ჰიროშიმა
კოჯი ნაკატა	ბაზელი, შვეიცარია
ნახევარმცველები	
ჰიდეტოში ნაკატა	ბოლტონ უონდერერსი, ინგლისი
შუნსუკე ნაკამურა	სელტიკი, შოტლანდია
შინჯი ონო	ურავა რედსი
უნიჩი ინამოტო	ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი
ტაკაში ფუკუნიში	ჯუბილო ივატა
მიცუო ოგასავარა	კაშიმა ანთლერსი
იასუჰიტო ენდო	გამბა ოსაკა
თავდამსხმელები	
აცუში იანაგისავა	კაშიმა ანთლერსი
ნაოჰირო ტაკაჰარა	ჰამბურგი, გერმანია
მასაში ოგურო	გრენობლი, საფრანგეთი
კეიჯი ტამადა	ნაგოია გრამპუს ეითი
სეიჩირო მაკი	იჩიჰარა ჯეფ იუნაიტედი

მსოფლიოს თასი

გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

იან კოლერი

კარელი და კოლერი

ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელმა კარელ ბრიუკნერმა გერმანიაში წამსვლელთა გვარ-სახელები გუშინ ჩამოწერა. „ეს გუნდი ევრო 2004-ზე შეიკრა და ამ შემადგენლობის შენარჩუნება სამსოფლიოს ჩემპიონატოდ მსურდა“ — თქვა ბრიუკნერმა, რომელმაც ვეტერანებს ნაკრების კარი გაუღო. მათ შორის არიან ახლახან გამოკეთებული იან კოლერი, ვლასტისლავ ლოკვენცი, ტრავმირებული ვლადიმირ შმიცერი, კარელ პობორსკი და ზდენეკ გრიგერა.

„კოლერს შვიდი თვე გაუცდა, მაგრამ ბუნდესლიგის ბოლო ტურში ორი გოლი გაიტანა. მე მჯერა მისი და ვენდობი — განაცხადა მწვრთნელმა — შმიცერი დაშავებულია, თუმც ექიმმა გარანტია მომცა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზად იქნება. ასე თუ არ მოხდა, მაშინ ლიბორ სიონკოთი ან რუდოლფ სკაჩელით შევცვლი“.

ჩეხეთის ნაკრები მზადებას შაბათს, ავსტრიის ქალაქ ზეეფელდში დაიწყებს. ჩეხთა ამხანაგური მატჩების გრაფიკი კი ასეთია: 26 მაისს საუდეთს შეხვდებიან, 30-ში კოსტარიკას, ხოლო 3 ივნისს — ტრინიადად და ტობაგოს.

ვაჟა ხუციშვილი

მეკარეები

პეტრ ჩეხი ---------- ჩელსი, ინგლისი
იარომირ ბლაჟეკი ---------- სპარტა
ანტონინ კინსკი ---------- სატურნი, რუსეთი

მცველები

ზდენეკ გრიგერა ---------- აიაქსი, ჰოლანდია
მარეკ იანკულოვსკი ---------- მილანი, იტალია
მარტინ ჟირანეკი ---------- სპარტაკი, რუსეთი
პაველ მარეში ---------- ზენიტი, რუსეთი
რადოსლავ კოვაჩი ---------- სპარტაკი, რუსეთი
დავიდ როზენალი ---------- პსჟ, საფრანგეთი
ტომაშ უიფალუში ---------- ფიორენტინა, იტალია

ნახევარმცველები

ტომაშ გალაშეკი ---------- აიაქსი, ჰოლანდია
დავიდ იაროლიმი ---------- ჰამბურგი, გერმანია
პაველ ნედვედი ---------- იუვენტუსი, იტალია
კარელ პობორსკი ---------- ჩეშკე ბუდეიოვიცე
იან პოლაკი ---------- ნიურნბერგი, გერმანია
იაროსლავ პლასილი ---------- მონაკო, საფრანგეთი
ტომაშ როსიცკი ---------- დორტმუნდი, გერმანია
ვლადიმირ შმიცერი ---------- ბორდო, საფრანგეთი

თავდამსხმელები

მილან ბაროში ---------- ასტონ ვილა, ინგლისი
მარეკ ჰაინცი ---------- გალათასარაი, თურქეთი
იან კოლერი ---------- დორტმუნდი, გერმანია
ვრატისლავ ლოკვენცი ---------- ზალცბურგი, ავსტრია
ირჟი შტაინერი ---------- ჰანოვერი, გერმანია

უგოლიათოდ

მეკარეები

ჟოაო რიკარდო ---------- უგუნდოდ
ლამა ---------- პეტრო ატლეტიკო
მარიო ---------- ინტერკლუბი

მცველები

დელგადო ---------- პეტრო ატლეტიკო
ჟამბა ---------- ავიაკაო
კალი ---------- ბარეირენსე, პორტუგალია
ლებო ლებო ---------- პეტრო ატლეტიკო
ლოკო ---------- პრიმეირო აგოსტო
მარკო აბრეუ ---------- პორტიმონენსე, პორტუგალია
მარკო აიროსა ---------- ბარეირენსე, პორტუგალია
რუი მარკეში ---------- ჰალი, ინგლისი

ნახევარმცველები

ანდრე ---------- ფკ კუვაიტი, ქუვეითი
ედსონი ---------- პასუშ ფერეირა, პორტუგალია
ფიგეირედო ---------- ვარზიმი, პორტუგალია
მენდონკა ---------- ვარზიმი, პორტუგალია
მილოი ---------- ინტერკლუბი
ზე კალანგა ---------- პეტრო ატლეტიკო

თავდამსხმელები

აკვა ---------- უგუნდოდ
ტიტი ბუენგო ---------- კლერმონი, საფრანგეთი
ფლავიო ---------- ალ აჰლი, ეგვიპტე
ლავი ---------- ავიაკაო
პედრო მანტორაში ---------- ბენფიკა, პორტუგალია
მატეუში ---------- ჟილ ვისენტე, პორტუგალია

ლუიშ გონსალეში

ანგოლის ნაკრების მწვრთნელმა ლუიშ ოლივეირა გონსალვეშმა რჩეული 23 დაასახელა. გონსალვეშს ოთხი ფეხბურთელის შეცვლა მოუწია იმ შემადგენლობიდან, რომელმაც აფრიკის ეროვნებათა თასზე ანვარში ითამაშა. ტრავმების გამო ნაკრების მიღმა დარჩნენ ნახევარმცველი ჟილბერტო, ფორვარდი მაურიტო, მეკარე გოლიათი და მცველი ჟასინტო. სამაგიეროდ მწვრთნელმა მიიწვია პორტუგალიის ჩემპიონატში მოთამაშეები: „მატეუშ და მარკო აიროსა, ასევე რუი მარკეში „ჰალი სიტიდან“ და ანგოლის „ინტერკლუბის“ მეკარე მარიო. „ვიცი, რომ ერთერთი უსუსტესი გუნდი გვეყოლება გერმანიაში, მაგრამ მუნდიალზე თამაში ჩვენთვის უკვე დიდი გამარჯვებაა“ — თქვა გონსალვეშმა.

ვაჟა ხუციშვილი

პასკალ პაპა და პატარა ბიჭები

შვეიცარიის მწვრთნელი იაკობ კუნი ახალგაზრდებს ენდო და 7 ისეთი ფეხბურთელი მიიწვია ნაკრებში, რომლებსაც სულ სამოთხჯერ უთამაშიათ ეროვნულ გუნდში. კუნის ნაკრების საშუალო ასაკი 24,8 წელია. ყველაზე უფროსია 35 წლის მეკარე პასკალ ცუბერბიულერი, რომელიც „ბაზელის“ კარს იცავს და შვეიცარიის ჩემპიონატის ბოლო ტურში მისი შეცდომის გამო გუნდმა ჩემპიონობა „ციურიხს“ დაუთმო. კუნის სიაში ვერ მოხვდა ნახევარმცველი ჰაკან იაკინი. სამაგიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს „არსენალის“ 19 წლის მცველი ფილიპ სენდეროსი. „იაკინს ბოლო ხუთ მატჩში ვაკვირდებოდი, მაგრამ არ მომეწონა — თქვა კუნმა — ამიტომაც დავტოვე ნაკრებს მიღმა, მაგრამ ხუთ სათადარიგოში იქნება და იმ შემთხვევაში ვუხმობ, თუ ვინმე დაშავდა“.

ვაჟა ხუციშვილი

მეკარეები

პასკალ ცუბერბიულერი ---------- ბაზელი
დიეგო ბანალიო ---------- მარიტიმუ, პორტუგალია
ფაბიო კოლტორტი ---------- გრასჰოპერი

მცველები

ფილიპ დეგენი ---------- დორტმუნდი, გერმანია
იოჰან ჯირუ ---------- არსენალი, ინგლისი
სტეფან გრიხტინგი ---------- ოსერი, საფრანგეთი
ლუდოვიკ მანინი ---------- შტუტგარტი, გერმანია
პატრიკ მიულერი ---------- ლიონი, საფრანგეთი
ფილიპ სენდეროსი ---------- არსენალი, ინგლისი
კრისტოფ შპიხერი ---------- აინტრახტი, გერმანია

ნახევარმცველები

ვალონ ბეჰრამი ---------- ლაციო, იტალია
ტრანკვილო ბარნეტა ---------- ლევერკუზენი, გერმანია
რიკარდო კაბანასი ---------- კიოლნი, გერმანია
დავიდ დეგენი ---------- ბაზელი
ბლერიმ ჯემაილი ---------- ციურიხი
დანიელ გიგაქსი ---------- ლილი, საფრანგეთი
ქსავიე მარგაირაცი ---------- ციურიხი
იოჰან ფოგელი ---------- მილანი, იტალია
რაფაელ ვიკი ---------- ჰამბურგი, გერმანია

თავდამსხმელები

ალექსანდრ ფრეი ---------- რენი, საფრანგეთი
მაურო ლუსტრინელი ---------- სპარტა, ჩეხეთი
მარკო შტრელერი ---------- კიოლნი, გერმანია
იოჰან ვონლანტენი ---------- ბრედა, ჰოლანდია

მსოფლიოს თასი

გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

კაცური კაცები

მეკარეები

დრაგოსლავ ჟევრიჩი	ანკარასფორი, თურქეთი
ოლივერ კოვაჩევიჩი	ჟელეზნიკი
ვლადიმირ სტოიკოვიჩი	ნანტი, საფრანგეთი

მცველები

ნემანია ვიდიჩი	მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი
მლადენ კრსტაიჩი	შალკე, გერმანია
გორან გავრანჩიჩი	დინამო, უკრაინა
მილან დუდიჩი	ცრვენა ზვეზდა
ივიცა დრაგუტინოვიჩი	სევილია, ესპანეთი
დუშან ბასტა	ცრვენა ზვეზდა
ნენად ჯორჯევიჩი	პარტიზანი

ნახევარმცველები

იგორ დულიაი	შახტარი, უკრაინა
ალბერტ ნადი	პარტიზანი
ივან ერგიჩი	ბაზელი, შვეიცარია
დეიან სტანკოვიჩი	ინტერი, იტალია
პრედრაგ ჯორჯევიჩი	ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი
ზვონიმირ ვუკიჩი	პარტიზანი
ოგნიენ კორომანი	პორტსმუთი, ინგლისი
დანიელ ლიუბოია	შტუტგარტი, გერმანია
საშა ილიჩი	გალათასარაი, თურქეთი

თავდამსხმელები

სავო მილოშევიჩი	ოსასუნა, ესპანეთი
მატეა კეუმანი	ატლეტიკო, ესპანეთი
ნიკოლა ჟიგიჩი	ცრვენა ზვეზდა
მირკო ვუჩინიჩი	ლეჩე, იტალია

„ჩემი გუნდის შესაძლებლობებისა მწამს და ასი პროცენტით ვენდობი ბიჭებს“ — განაცხადა სერბეთ-ჩერნიგორიის ნაკრების მწვრთნელმა ილია პეტკოვიჩმა და იმ 23 ბიჭის გვარ-სახელი წარმოადგინა, რომელთაც ასე ენდობა.

გუნდში 15 ლეგიონერია, რომელთა შორის არიან მადრიდის „ატლეტიკოს“ ცნობილი თავდამსხმელი მატეა კეუმანი, მილანის „ინტერის“ შემტევი ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი და ნემანია ვიდიჩი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომლის გამოძახებასაც გულშემატკივარი არ ელოდა, „ბაზელის“ ნახევარმცველი ივან ერგიჩი გამოდგა. მისი გამოძახება იმითაა განპირობებული, რომ ბელგრადის „პარტიზანის“ მოთამაშეს ზვონიმირ ვუკიჩს ტრავმის გამო სეზონის უდიდესი ნაწილი გაუცდა და მართალია, პეტკოვიჩს ის მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც მიჰყავს, მხოლოდ მას მაინც ვერ დაყრდნობოდა.

„ეს ფეხბურთელები შესარჩევი შეჯიბრების ცეცხლში არიან გამოვლილნი და იქ დიდი ფეხბურთი უჩვენებიათ. მათ დიდი პიროვნული თვისებები გამოამჟღავნეს და 23 კაციან სიაში დაიმსახურეს ადგილი“ — დააგვირგვინა მწვრთნელმა.

მსოფლიოს ჩემპიონატამდე სერბ-ჩერნიგორიელები ეთამაშებიან ურუგვაისა და ავსტრიის რომელიმე კლუბს.

ლიპიმ პიპო წაიყვანა

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ 23-კაციანი განაცხადი გუშინ ჩამოაწიკწიკა. გუნდშია ფილიპო ინძაგი, ვისაც „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში ბოლოს 2003 წლის ოქტომბერში, აზერბაიჯანთან უთამაშია. „პიპომ“ ამ სეზონში ჩვეული ფორმა დაიბრუნა და გოლებიც გაიტანა, რაც ბუნებრივია, ლიპის უყურადღებოდ არ დარჩენია.

მწვრთნელმა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სამ თვეში სულ ორი მატჩი ითამაშა, განაცხადში შეიყვანა „რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი. ტოტი თებერვალში დაშავდა და სამუნდიალოდ გამოჯანმრთელება მოასწრო.

იტალიის ნაკრები დეისბურგში დაბინავდება და ამ კლუბის მოედნებით ისარგებლებს. „სკუადრა აძურას“ ჩემპიონატზე პირველი მატჩი 12 ივნისს, ჰანოვერში, განასთან ელის.

მეკარეები

ჯანლუიჯი ბუფონი	იუვენტუსი
ანჯელო პერუცი	ლაციო
მარკო ამელია	ლივორნო

მცველები

მასიმო ოდო	ლაციო
კრისტიან ძაკარდო	პალერმო
მარკო მატერაცი	ინტერი
ანდრეა ბარძალი	პალერმო
ალესანდრო ნესტა	მილანი
ფაბიო კანავარო	იუვენტუსი
ჯანლუკა ძამბროტა	იუვენტუსი
ფაბიო გროსო	პალერმო

ნახევარმცველები

მაურო კამორანეზი	იუვენტუსი
ჯენარო გატუზო	მილანი
ანდრეა პირლო	მილანი
სიმონე პეროტა	რომა
დანიელე დე როსი	რომა
სიმონე ბარონე	პალერმო
ფრანჩესკო ტოტი	რომა
ალესანდრო დელ პიერო	იუვენტუსი

თავდამსხმელები

ალბერტო ჯილარდინო	მილანი
ლუკა ტონი	ფიორენტინა
ფილიპო ინძაგი	მილანი
ვინჩენცო იაკინტა	უდინეზე

კოტ დივუარი

მეკარეები

ჟან-ჟაკ ტიზიე	ესპერანსი, ტუნისი
ბუბაქარ კოპა	ბევერენი, ბელგია
ჟერარ განონი	მონპელიე, საფრანგეთი

მცველები

სირილ დომორო	კრეტეი, საფრანგეთი
ბლეიზი კუასი	ტრუა, საფრანგეთი
აბდულაიე მეიტე	მარსელი, საფრანგეთი
ეტიენ არტურ ბოკა	სტრასბური, საფრანგეთი
ჰაბიბ კოლო ტურე	არსენალი, ინგლისი
ემანუელ ებუ	არსენალი, ინგლისი
მარკ ზორო კპოლო	მესინა, იტალია

ნახევარმცველები

დიდიე ზოკორა	სენტ ეტიენი, საფრანგეთი
ემერს ფაე	ნანტი, საფრანგეთი
კანგა აკალე	ოსერი, საფრანგეთი
რომარიკ ნდრი კოფი	ლე მანი, საფრანგეთი
ჟენერი იაია ტურე	ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი
ჟილ იაპი იაპო	იანგ ბოისი, შვეიცარია
გაი დემელი	ჰამბურგი, გერმანია

თავდამსხმელები

ბაკარი კონე	ნიცა, საფრანგეთი
დიდიე დროგბა	ჩელსი, ინგლისი
არუნა კონე	პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია
ბონავენტურე კალუ	პსჟ, საფრანგეთი
აბდულ კადერ კეიტა	ლილი, საფრანგეთი
არუნა დინდანე	ლანსი, საფრანგეთი

ხორვატია

მეკარეები

ტომისლავ ბუტინა	ბრიუგე, ბელგია
სტიპე პლეტიკოშა	ჰაიდუკი
ჯო დიდულიცა	აუსტრია, ავსტრია

მცველები

რობერტ კოვაჩი	იუვენტუსი, იტალია
სტიეპან ტომაში	გალათასარაი, თურქეთი
დარიო შიმიჩი	მილანი, იტალია
მარიო ტოკიჩი	აუსტრია, ავსტრია
იოსიპ შიმუნიჩი	ჰერტა, გერმანია
იგორ ტუდორი	სიენა, იტალია

ნახევარმცველები

ჟერკო ლეკო	დინამო, უკრაინა
იურიცა ვრანიეში	ვერდერი, გერმანია
ანტონი სერიჩი	პანათინაიკოსი, საბერძნეთი
ნიკო კოვაჩი	ჰერტა, გერმანია
მარკო ბაბიჩი	ლევერკუზენი, გერმანია
დარიო სრნა	შახტარი, უკრაინა
ივან ლეკო	ბრიუგე, ბელგია
ლუკა მოდრიჩი	დინამო ზაგრები
ნიკო კრანჩარი	ჰაიდუკი

თავდამსხმელები

ივან კლასნიჩი	ვერდერი, გერმანია
დადო პრსო	რეინჯერსი, შოტლანდია
ბოშკო ბალაბანი	ბრიუგე, ბელგია
ივიცა ოლიჩი	ცსკა, რუსეთი
ივან ბოშნიაკი	დინამო ზაგრები

ვენგერს რა უჭირს, ჩვენ უნდა შევუტიოთ

რაიკარდმა ანრი ერთხელ უკვე გამოიცნო

„ბარსელონას“ მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა ჯერაც არ იცის, რას ეტყვის შეგირდებს ოთხშაბათს ფრანგულ „სენ დენის“ არენაზე გასვლის წინ. თავისი დიდი თანამემამულის, იოჰან კრუიფის ფრაზის გამეორებას არ აპირებს — 1992 წლის ლიგის ფინალში „სამპდორიასთან“ თამაშამდე „ბარსას“ მაშინდელმა მწვრთნელმა კრუიფმა ფეხბურთელებს უთხრა, მოედანზე გადით და ისიამოვნეთო. „ყველა ფრაზას თავისი დრო სჭირდება. მე, ალბათ, ბიჭებს სხვანაირად ვეტყვი, თუმცა 92-ში კრუიფის სიტყვებმა მაინც გაამართლა, გუნდმა ლიგა მოიგო“ — ამბობს რაიკარდი. მოკლედ, ხვალ ჩემპიონთა ლიგის ფინალია და „ბარსას“ ამჟამინდელ თავკაცს კატალონიური „სპორტი“ გაესაუბრა

— იმედია, თქვენი ბოლო რჩევაც დაეხმარება ფეხბურთელებს ჩემპიონთა თასის მოგებაში.

— სიმართლე გითხრათ, წინასწარ არ ვფიქრობ იმაზე, რა უნდა ვუთხრა ბიჭებს უშუალოდ მატჩის წინ. ასეთი რამ ბუნებრივად უნდა მოვიდეს. გუნდიც ისეთი გვყავს, ბრძოლის წინ დიდი დარიგებები არ სჭირდება. თუ ძალიან დაძაბულები იქნებიან, ვეტყვი, რომ თავისუფლად იგრძნონ თავი, თუ ზედმეტად მოშვებულებს ვნახავ, ყურადღების მოკრებისკენ მოვუწოდებ.

— დღეს როგორ გრძნობენ თავს თქვენი შეგირდები?

— მშვენივრად. ძალიან მომზადებულები და მშვიდები არიან.

— თქვენს საფეხბურთო ფილოსოფიაში ფეხბურთით სიამოვნება ლექსიკის ერთადერთი სიტყვა არ არის...

— ფეხბურთი სერიოზული თამაშია. თამაშიდან სიამოვნება უნდა მიიღო, თუმცა ეს თამაში ამავდროულად პასუხისმგებლობას, ერთიანობას, მსხვერპლს და შრომას მოითხოვს.

— ანუ რაღაც შუალედი შრომასა და სიამოვნებას შორის...

— გეთანხმებით. ვინც მარტო სიამოვნებაზე ფიქრობს, დარწმუნებული ვარ, მინდორზე არაფერი გამოუვა. ასევე დაიჩაგრება ის, ვინც მარტო მუშაობაზე იფიქრებს

— ჩიკი ბეგირისტაინმა თქვა, რომ ფინალის წინ ფავორიტთა ბანაკში თავს უფრო მშვიდად გრძნობს. თქვენც ასე ფიქრობთ?

— ჩიკისგან განსხვავებით, მე ფინალში რომელიმე გუნდის უეჭველ ფავორიტად დასახელებას მოვერიდებოდი. ლიგის შარშანდელი ფინალი გაიხსენეთ. „ლივერპულმა“ „მილანთან“ სასწაული ჩაიდინა. ზოგჯერ ბრძოლის ბედს პატარა დეტალებიც წყვეტს.

— კი მაგრამ, „ბარსა“ ფავორიტად თავად არსენ ვენგერმაც დაასახელა...

— არ მაინტერესებს, ხალხი რას ამბობს. ყველაზე ცუდია, როცა პირველგუნდობას თავად ირწმუნებ. თუმცა „ბარსელონაში“ მეტოქეებს ფხიზელი თვალით აფასებენ.

— შეიძლება, გულშემატკივართა ზედმეტმა ეიფორიამაც დაგაზარალოთ. ხალხი ჩემპიონთა თასის მოგებას არ გთხოვთ?

— რა თქმა უნდა. ადრინდელზე მეტად მთხოვენ.

— და რას პასუხობთ?

— ვეუბნები, რომ გამარჯვებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

— პრემერადივიზიონის ჩემპიონობა ხალხმა ბარსელონის ქუჩებში გრანდიოზული ფიესტით აღნიშნა. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, თუ გუნდმა ჩემპიონთა თასიც მოიგო?

— არ ვიცი, რა გითხრათ. პრემერას ჩემპიონობისთვის ხალხმა

უზარმაზარი პატივი მოგვაგო, ასეთი რამ არავის ავიწყდება.

— თქვენი ფეხბურთელები წლევანდელ საჩემპიონო ზეიმზე უფრო მშვიდები ჩანდნენ, ვიდრე შარშან...

— დიახ, და მე ამას დადებითად ვაფასებ. წინა სეზონის ბოლოს ფეხბურთელებმა სიხარულისგან ძალიან ბევრი დალიეს. წლეულს კი მხოლოდ მცირედი ლუდით დაკმაყოფილდნენ. ყველამ იცოდა, რომ სეზონის უმნიშვნელოვანესი ჯახი წინ იყო. კონტროლი არავის დაუკარგავს.

— ოთხშაბათს „არსენალთან“ სათამაშოდ ბარსელონელებს რაიკარდი შეარჩევს, ანუ ზოგიერთ მათგანს ფინალის გამოტოვება მოუწევს. ეს თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ძნელი სამწვრთნელო ნაბიჯი იქნება?

— არა მგონია. ყველა მატჩის წინ მიწევს გადაწყვეტილების მიღება და ისეთი ფეხბურთელიც ბევრია, ძირითად თერთმეტში ყოფნას რომ იმსახურებს, თუმც მოედანზე ყველას ვერ გაიყვან, არჩევაა საჭირო.

— შემადგენლობას გუნდს ალბათ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გააცნობთ...

— დიახ, ასე მოვიქცევი. ისევე, როგორც ნებისმიერ მატჩში ვაკეთებ. არ მინდა, ვინმემ ძირითადად ან შემცვლელად იგრძნოს თავი. თუმცა თუ ვინმესთვის რაიმეს ახსნა დამჭირდა, არც ამას მოვერიდები.

— ვალდესმა შაბათს „სევილიასთან“ ტრავმა მიიღო და მოედანი მუხლშეხვეულმა დატოვა. „ბარსას“ ფინალში ძირითადი მეკარე ვერ დაეხმარება?

— ნუ ავღელდებით. ვიქტორმა ბურთის მიღებისას მუხლი ოდნავ იტკინა. იგი ფინალში აუცილებლად იქნება.

— სამუელ ეტოო პრემერას მთავარმეგოლეობაზე ფიქრობს. „სევილიასთან“ მატჩში იგი არ ათამაშეთ, მაგრამ ეს არ გაუპროტესტებია. მან გუნდის ინტერესები საკუთარზე მაღლა დააყენა. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. მთავარმეგოლეობა ეტოოსთვის, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ მომენტში ჩვენს ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს ტრავმისთვის ვერ გავწირავდით. ეტოოს დაველაპარაკე და მან კარგად გამიგო.

— რონალდინიოსგან რას ელით პარიზის ფინალში?

— იგი გუნდის სახე და ჩვენი მთავარი ფეხბურთელია. რონიმ უკვე ითამაშა ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მნიშვნელოვან ფინალებში. მან იცის, მისგან გუნდი და ინჩასები რასაც ელიან.

— მეტოქეზე ვისაუბროთ. „არსენალის“ შესახებ რას გვეტყვით?

— დროის მცირე მონაკვეთში შესანიშნავი გუნდი შექმნეს, რომლის მთავარი ძალაც მოედანზე ფეხბურთელთა ერთიანობაა. ბრწყინვალე მოთამაშე ჰყავთ — ტიერი ანრი, თუმცა უმნიშვნელონი არც რეიესი, ლიუნგბერგი და სესკი არიან. ყველა უტევს და ყველა თავს იცავს. ბოლო მატჩებში 14 გოლი გაიტანეს და მარტო 2 გაუშვეს.

— ანრის კარგად იცნობთ?

— „მონაკოში“ თამაშის პერიოდიდან ვიცნობ, მაშინ ანრი მხოლოდ 17 წლის იყო. არ ვტრაბახობ, ერთი შეხედვით მივხვდი, რომ დიდი ფეხბურთელი გახდებოდა.

— ანრიზე, როგორც პიროვნებაზე, რას გვეტყვით?

— მშვიდი, წყნარი კაცია, ვარსკვლავობას არ გაუფუჭებია ზოგიერთივით.

— თუ ფრანგს „ბარსას“ მცველები დაიჭერენ, ფინალი მოგებულად უნდა ჩავთვალოთ?

— ანრი „არსენალში“ ყველაზე მთავარია, მაგრამ ვინ მომცემს იმის გარანტიას, რომ რეიესი და სესკი არ გაიტანენ? „არსენალი“ გუნდურ თამაშს მისდევს და ერთი კაცის დაჭერა მათთან მოსაგებად საკმარისი არ იქნება.

— სანამ თქვენ ამას ამბობთ, არსენ ვენგერი თავს იმტვრევს — რონალდინიოს, ეტოოს, ჟიულის და დეკუს რა მოვუხერხოო...

— ვენგერს რა უჭირს, ჩვენს შეტევებს მან კონტრიერიშებით უნდა უპასუხოს. მეტოქის მოქმედებაში შეცდომის მონახვა მათთვის უფრო ადვილი იქნება.

— ყოველ შემთხვევაში, „ჩელსისთან“ და „მილანთან“ სტრატეგიამ გაგიმართლათ...

— გეთანხმებით. თუმცა ის ორრაუნდიანი მატჩები იყო, ახლა კი ყველაფრის გადაწყვეტა ერთ თამაშში მოგვიწევს.

— ამბობთ, რომ ანრის მეტისმეტ ყურადღებას არ მიაქცევთ. თუმცა, ცხადია, ბარსელონელი უკანახაზელები სხვაზე მეტად მიზანში სწორედ მას ამოიღებენ...

— ანრის შესაბამის ყურადღებას მივაქცევთ, ოღონდ არა ისე, რომ დანარჩენი „მეთოფეები“ სათვალავში დაგვეკარგონ.

მილანი იუვეს ნამაფიოზარ სკუდეტოებს ითხოვს

იტალიური სკანდალი სპაგეტივით დაგრძელდა

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ახალი სეზონის დაწყებას 27 აგვისტოს გეგმავს... თუ გეგმავდა... მოკლედ, საქმე შეიძლება აირიოს და თან ისე, რომ სერია **A**-ში ბურთი 1 ოქტომბერსაც არ იყოს გაგორებული.

მიზეზი საყოველთაოდ ცნობილია: აწ უკვე ქვეყნის 29-გზის ჩემპიონის, „იუვენტუსის" დირექტორატის გარშემო აგორებული სკანდალი იმდენად ფართო და ღრმა გამოდგა, რომ მთელი იტალიური ფეხბურთი მოიცვა. გამოძიება, რომელსაც ნეაპოლის პროკურატურა შეეჭიდა, უთუოდ მრავალტომიანი იქნება. ცნობილია, რომ ამ ეტაპზე სამართალდამცველებს უკვე 41 ადამიანის საქმეთა ჩხრეკა უხდებათ და ეს რიცხვი შეიძლება გაიზარდოს. ძიება ძიებად და ამბობენ იმასაც, რომ, ვინაიდან ამ ყველაფრის პარალელურად მთელი ქვეყნის ფეხბურთის გარეშე დატოვება არ შეიძლება, ფედერაციამ სერია **A**-ში გუნდების რაოდენობა შეიძლება 20-დან ისევ 18-მდე დაიყვანოს. თითქოს, ჩემპიონატი ასე უფრო ჩაეტევა ვადებში.

კიდევ, მოგეხსენებათ, სკანდალს დიდმოხელეთა გადადგომების სერიაც მოჰყვა. პირველები, ვინც თანამდებობა დატოვეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო და ვიცე-პრეზიდენტი ინოჩენცო მაცინი გახლდნენ, შემდეგ სამსახურიდან წავიდნენ „იუვენტუსის" დირექტორატის ყბადაღებული წევრები, ლუჩანო მოჯი, ანტონიო ჯირაუდო და რობერტო ბეტეგა, ხოლო სულ ბოლოს ქვეყნის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტმა ტულიო ლანეზემ გამოკეტა კაბინეტის კარი. ისე, კაცმა რომ თქვას გადადგომები სულაც მსაჯთა ასოციაციით უნდა დაწყებულიყო, რადგან სკანდალი მსაჯობის თემას მოჰყვა. გახსოვთ, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ „იუვენტუსის" დირექტორთა ტრიოს თამაშებზე მსაჯების დანიშვნაში ჩარევა დაუმტკიცდა, მაგრამ ძველზე ნულარ შევჩერდებით, რადგან ახალიც ბევრია სათქმელი. მაგალითად, კარარომ ხმა, მოქმედი მსაჯის, ჯანლუკა პაპარესტას წინააღმდეგ აიმაღლა. პაპარესტამ წინა სეზონში „რეჯინასა" და „იუვეს" შეხვედრა იმსაჯა. მატჩი „რეჯინას" გამარჯვებით 2:1 დამთავრდა, ოღონდ, იქ იყო ტურინელთა ერთი გოლი, რომელიც მსაჯმა არ ჩათვალა. ჰოდა, კარაროს მტკიცებით, „იუვეს" განრისხებულმა გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ პაპარესტა ოთახში ჩაკეტა ანუ, სხვა სიტყვებით, ასე დასაჯა.

კარარო: „პაპარესტამ აღმაშფოთა რადგან, რეჯო კალაბრიიდან დაბრუნების შემდეგ ამ ინციდენტის შესახებ ფედერაციაში არ განაცხადა. შემდეგ გავიგე, ასე თურმე იმიტომ მოქცეულა, რომ შეშინებია, მოჯის წინააღმდეგ ხმა რომ ამოვიღო, უარესად დამსჯიან და მსაჯობას საერთოდ ამიკრძალავენო. გაოგნებული დავრჩი, როგორ გაივლო ასეთი რამ გუნებაში. ის ხომ ჩვენს საქმეში შემთხვევითი კაცი არ არის, მისი მამა ხომ ცნობილი არბიტრი იყო. რაც შეეხება მოჯის, ამ კაცმა თავისი ქედმაღლობით და თავგასულობით ძალიან გამიცრუა იმედი".

ასე და ამგვარად, გამოძიება გრძელდება და სულაც არ არის გამორიცხული ისეთი რამ დამტკიცდეს, რაც იტალიის ფეხბურთის ფედერაციას „იუვენტუსის" დასჯისკენ უბიძგებს. აკი, უკვე დაიწყო საუბარი ჩემპიონის სერია **B**-ში გაგდებასა და ტიტულის ან ტიტულების ჩამორთმევაზე. თვით ქვეყნის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, „მილანის" პატრონმა სილვიო ბერლუსკონიმ მოითხოვა უსამართლოდ დაკარგული „სკუდეტოების" დაბრუნება, თუმცა რამდენი „სკუდეტო" უნდა აართვან 29 გზის ჩემპიონს და ვის უნდა დაურიგონ, უცნობია. ამ ეტაპზე, დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მოჯი-ჯირაუდო-ბეტეგას ტრიო „იუვეს" 12 წელიწადი ედგა სათავეში...



და კიდევ ერთი არბიტრის ამბავი: მსოფლიოს ჩემპიონატზე აკრედიტებული მსაჯი მასიმო დე სანტისი ზემოთნახსენებ 41 ეჭვმიტანილთა შორის აღმოჩნდა, ხოლო ეჭვმიტანილი ადამიანის მუნდიალზე გაგზავნა იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უგუნურ საქციელად მიიჩნია და დე სანტისი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ფიფამ მის ნაცვლად ახალი არავინ ჩასვა, ასე რომ მსოფლიოს ჩემპიონატს მოემსახურება არა 23 არამედ 22 არბიტრი, რომელთა შორის ერთადერთი იტალიელი რობერტო როსეტი რჩება.

და ბარემ, რაკიღა მსოფლიოს ჩემპიონატი ვახსენეთ: ამხელა შეჯიბრების წინ საჩემპიონო ამბიციის მქონე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ხელმძღვანელის გარეშე ვერაფრით ვერ დარჩება. როგორც ამბობენ, იტალიელი საფეხბურთო მოხელეები საქმეების გაძღოლას ახალ, ოღონდ დროებით შეფს ჩაბარებენ და ზდენეკ ზემანისა და მაურიციო ძამპარინის აზრით ეს ოდინდელი „ოქროს ბიჭი" ჯანი რივერა უნდა იყოს. როგორც ჩანს, მე-20 საუკუნის 60-იანი წლების თბილისური სიმღერა, „ჯანი რივერა, ჯანი რივერა, მას იცნობს მხოლოდ ვაკე და ვერა" მთლად ზუსტი ვერ არის, რადგან ის ზემანსა და ძამპარინისაც სცნობებიათ და მეტიც, ფედერაციის პრეზიდენტადაც სდომებიათ. ამბობენ, რომ დროებით პრეზიდენტს იტალიელები დღეს დაასახელებენ.

რაც შეეხება ძამპარინის, იგი, როგორც ადრეც მოგახსენეთ, ქვეყნის საფეხბურთო ლიგის ვიცე-პრეზიდენტია. ლიგის სათავეში, მოგეხსენებათ, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი დგას და ის, იტალიური ფეხბურთის საკვანძო სამსახურების სხვა შეფებივით, თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს, რაც ძამპარინის ძალიან აღიზიანებს.

„მის გადადგომას ველოდები და მეც წავალ. იტალიური ფეხბურთი სრულიად ახალმა ხალხმა უნდა მართოს. ახალი სისხლია საჭირო და ასეთად რივერა მესახება" — თქვა ძამპარინიმ, ხოლო ზემანზე დიდხანს აღარ შევჩერდებით, უბრალოდ შეგახსენებთ, რომ პირველი სკანდალური თემა, დოპინგი „იუვენტუსში", 1998 წელს სწორედ მან წამოსწია და ახლა, როდესაც იტალიური ფეხბურთის სხვა და სხვა ბნელი საქმეები ერთმანეთის მიყოლებით ყუმბარებივით სკდება, ჩეხი მწვრთნელი სიამაყით იხსენებს იმ ძნელ დროს, როდესაც, მისი თქმით, დოპინგზე საუბრის დაწყებისთვის ყველანი კეფაში უტყაპუნებდნენ.

საინტერესოა, რომ ზემანის ავტორიტეტი იტალიურ ფეხბურთში იმდენად დიდია, რომ პოლიტიკოსმა დანიელე კაპეკონემ ფეხბურთის ფედერაციის შეფად მისი კანდიდატურაც კი დაასახელა, რისგანაც თავად მწვრთნელმა თავი შორს დაიჭირა.

ხმა აიმაღლა მესამე ადგილზე გასული „ინტერის" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმაც:

„მსაჯებისა და „იუვენტუსის" ამბავი 2001 წლიდან მესმის, ახლა კი 2006 წელია. წარმოგიდგენიათ, რამდენი რამ მოხდებოდა ამ უკონტროლო წლების განმავლობაში? ეს სერიოზული ამბავია. ვგონებ ასეთი სერიოზული სკანდალი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში არც მომხდარა. ბავშვობაში თავად „იუვენტუსის" გულშემატკივარი ვიყავი, მაგრამ ის სულ სხვა „იუვენტუსი" იყო".

და, ცხადია, მანჩინის ნახსენები „სხვა" „იუვენტუსი" ენატრებათ „ბებერი ქალბატონის" ქომაგებსაც. ისინი ბოლო ტურში, ბარიში გამარჯვებულ გუნდს აეროპორტში დახვდნენ, ოღონდ იმდენად საზეიმოდ არა, რამდენადაც დირექტორატის ტრიოსათვის უნდობლობის გამოსახატავად. ერთ-ერთ პლაკატზე ეწერა:

„გაანთავისუფლეთ პროვენცანო და ჩასვით ლუჩანო".

ახლავე აგიხსნით, რასაც ნიშნავს ეს: პროვენცანო, მაფიის დიდი ბოსის გვარია, რომელსაც ორმოცი წლის განმავლობაში ეძებდნენ და ამასწინათ პატარა ქალაქ კორლეონეში დაიჭირეს, ხოლო ლუჩანო მოგეხსენებათ, მოჯია და ქომაგების აზრით პროვენცანოზე უარესი ვინმე ბრძანდება.

და ბოლოს: „ორშაბათს საერთოდ წავალ ფეხბურთიდან — თქვა თავად ლუჩანო მოჯიმ — ამ სფეროში მოღვაწეობის აღარც ღონე მაქვს და აღარც სურვილი. ამ ხალხმა სული მომიკლა. კეთილი, ამიერიდან საკუთარი თავის დაცვაზე გადავალ".

ხოლო, ჰონკონგის რომელიღაც ტოტალიზატორი იტალიის ჩემპიონატზე აღარ ნიძლავდება. ისე, კაცმა რომ თქვას, ველარც დანიძლავდება, რადგან იტალიის ჩემპიონატი დასრულდა... „იუვენტუსის" გამარჯვებით.

პაპუნა კედია

გაუტანე გოლი დედას

დონია მიგელინას, რონალდინიოს დედას, ჟურნალისტებისგან კარგა ხანია, მოსვენება დაეკარგა. თუმცა კვირას იგი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა — 14 მაისს ბრაზილიაში დედის დღეს აღნიშნავენ და იქაური მედიის წარმომადგენლებსაც, ცხადია, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის მშობელთან სტუმრობა არ დავიწყებიათ. სენიორა მიგელინა და ასის მორეირაც მრავალრიცხოვან კითხვებზე მოთმინებით პასუხობდა.

„სამწუხაროდ, ვერავის რჩევას ვერ მივცემ, ვარსკვლავი როგორ უნდა გაჩინოს და გაზარდოს. ეს მშობლებზე არაა დამოკიდებული და არც შვილზე. ჩემთვის რონალდინიო ღვთის წყალობაა“ — ემოციურად განაცხადა დონია მიგელინამ. რონის დედა ამბობს, რომ ფეხბურთი მისი შვილისთვის ყველაფერია. „აბა, გამოიცანით, ვინ იყო ის პირველი მეკარე, რომელსაც რონალდინიომ გოლი გაუტანა? რა თქმა უნდა, ეს მე გახლდით, ავტოფარეხის კარში ვიდექი, როცა რონის დარტყმული ბურთი ვერ დავიჭირე. მაშინ სულ ერთი ციცქნა იყო და მეუბნებოდა, მეკარეობაში უნდა გავარჯიშოო“.

სენიორა მიგელინა იხსენებს, რომ ბურთი, თანდათანობით, მომავალი ფეხბურთელის განუშორებელ ნაწილად იქცა. „ყველგან ბურთით დარბოდა, ძაღლსაც ბურთს ეთამაშებოდა და სულს ართმევდა ფინტებით. ბურთთან ერთად ეძინა ხოლმე“ — აცხადებს ბარსელონელი კიჭას დედა. პატარა რონის კი სახლი თავდაყირა ჰქონდა დაყენებული: „დაამსხვრია ფანჯრები, ჭაღი, ყვავილის ქოთნები და საერთოდ ყველაფერი, რისი დამსხვრევაც და დანაკუწებაც შეიძლებოდა. რა უნდა მექნა, დასჯით არ ვსჯიდი, უარესი უკვე მომხდარი იყო. ერთადერთი, ვეხვეწებოდი ხოლმე ნამტვრევების იატაკიდან აღებაში მომეხმარე-მეთქი“. თუმცა დონია მიგელინა ამის თქმის შემდეგ ღიმილით ამატებს: „ყველა დედას ვუსურვებდი, შვილს პატარაობაში ჩადენილი სიცელქეები მისთვის ისე აენაზღაურებინოს, როგორც რონალდინიომ მე ამინაზღაურა...“.

მთელი თავგანწირვით ცდილობდა საბრალო ქალი შვილი სწავლისკენ და უნივერსიტეტისკენ შემოეტრიალებინა, მაგრამ ამაოდ: „სახლში ნამდვილი ომი იყო, როდესაც რონის სწავლაზე ჩამოვუგდებდი ლაპარაკს. 10 წუთს თუ ჩერდებოდა წიგნებთან და მერე ისევ ეზოში გარბოდა ფეხბურთის სათამაშოდ. ყოველთვის ფეხბურთელობა იყო მისი უპირველესი მიზანი ცხოვრებაში“. მიუხედავად ამისა, დედა დღეს თავისი უმცროსი ბიჭის ცხოვრებით კმაყოფილია, ისევე, როგორც რობერტოთი და დეიზით, უფროსი შვილებით. „ხშირად განვლილ ცხოვრებას ვიგონებ და ვხვდები, რომ ღმერთმა შრომა-გარჯისთვის შესაფერისად დამაჯილდოვა. ბედნიერზე ბედნიერი დედა ვარ“ — აცხადებს სენიორა მიგელინა.

ბრაზილიის ყველაზე სახელგანთქმული დედა იმასაც ამბობს, რომ რონალდინიო განებივრებულად იზრდებოდა: „არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ რონალდოს შეძლებისდაგვარად ყველა სურვილს ვუსრულებდი. სახლში ყვლაზე პატარა იყო და მას დაძმა ყველაფრისგან იფარავდა“.

ცხოვრებამ და ასისების ოჯახს მძიმე დარტყმა მიაყენა. 1989 წლის 25 იანვარს, როცა რონალდინიო ჯერ 9 წლისაც არ გამხდარიყო, ჟოაო და ასის მორეირა, დონია მიგელიას ქმარი და კიჭას მამა, აუზში ბანაობისას გულის შეტევით დაიღუპა. „რონიმ საშინლად განიცადა მამის დაღუპვა. მთელი ოჯახი ბავშვს გვერდში ვედექით, რათა სულიერი ტრავმა არ მიეღო — თქვა დონია მიგელინამ — იქიდან მოყოლებული, დედაც და მამაც მე ვარ ჩემი შვილებისთვის“...

მთელმა ქვეყანამ იცის, რომ რონალდინიო თავისი ბრწყინვალე ბურთაობით და განუმეორებელი ღიმილით მსოფლიო ფეხბურთს ალამაზებს. დონია მიგელინას კი შვილის მოედანზე დანახვა უფრო აშფოთებს, ვიდრე ამშვიდებს. „მთელი თამაშის განმავლობაში ვღელავ, ტრავმის მეშინია. თვალებს ვხუჭავ, როცა ბურთის წასართმევად მივარდება ვინმე“ — აღიარებს სენიორა და ასის მორეირა.

დედამ შვილს თურმე მაღალ ბურთებზე ბრძოლისას ნაკლები აგრესიულობა ურჩია. აი, პენალტები კი ნამდვილი ტანჯვა-წამებაა დონია მიგელინასთვის. „როცა ჩემი შვილი პენალტს ურტყამს, ტელევიზორს ვტოვებ და ოთახიდან გავდივარ - უბრალოდ, იმის წარმოდგენაც მეშინია, რომ ვერ გაიტანოს, რა დღეში ჩავარდება“.

წინ ჩემპიონთა ლიგის ფინალი და მსოფლიოს ჩემპიონატია. რონალდინიო აქაც თუ თავს გამოიჩენს, მსოფლიოს ლეგენდათა შორის დაიმკვიდრებს ადგილს. „ბარსელონას“ და ბრაზილიის ნაკრების გულშემატკივრები რონის უხვგოლიანობას ნატრობენ. დონია მიგელინას კი ეს ნაკლებად აწუხებს: „ღმერთო, ჩემი შვილი ტრავმებისგან დაიფარე...“ — ამბობს დედა ლოცვებსას ყველაზე ხშირად.

ლადო ხომერიკი

გერმანელმა ვარსკვლავმა მიხაელ ბალაკმა „ჩელსისთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი და ლონდონელთა პორტუგალიელმა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ იქვე განაცხადა, რომ ამიერიდან მის გარშემო ააწყობს გუნდს. ბალაკი ინგლისის ჩემპიონს „ბაიერნიდან“ თავისუფალი ტრანსფერის წესით შეუერთდა და გუშინ, „სტემფორდ ბრიჯზე“ პრეს-კონფერენცია მოაწყო.

„ძალიან ბედნიერი ვარ „ჩელსიში“ რომ გადმოვედი. ლონდონი მშვენიერი ქალაქია, აქ მეგობრული ხალხი ცხოვრობს — განაცხადა ბალაკმა — პირველი შთაბეჭდილებები საგანგებო და ძლიერი მაქვს. რობერტ ჰუთსა და იენს ლეგმანს ვთხოვე ინგლისის შესახებ მეეთხროთ. მათ ისეთი ამბები მითხრეს, რომ თავს ჩამოსვლისთანავე ბედნიერად ვგრძნობ“.

შემდეგ ისაუბრა მაურინიუმ, რომელმაც განაცხადა, რომ 29 წლის ვარსკვლავი უპირველეს ყოვლისა

ჩემპიონს ჩემპიონი

ფრენკ ლამპარდს ამოუდგება მხარში, თუმცა, ჟურნალისტები ამ განცხადების მოსმენისთანავე ლამპარდის მომავალზე ალაპარაკდნენ. მათი ეჭვით, ახლა, როდესაც მაურინიუმ მისი სტილის ახალი ვარსკვლავი შეიძინა, სრულიად შესაძლებელია ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი ბურჯთაგანი სულაც დაითხოვოს გუნდიდან.

„ლამპარდს თანაგუნდელებად ვარსკვლავები უნდა, და ვარსკვლავებია საჭირო გუნდის გაძლიერებისა და გადახალისებისთვისაც. მე ბალაკსა და ლამპარდთან ერთიობლივ მუშაობასა და მოედანზე მათი ერთდროულად თამაშის დამუშავებას ვაპირებ“ — თქვა მწვრთნელმა.

როგორც ამბობენ, ბალაკი პირველია იმ სამი ძვირი ფეხბურთელიდან, რომელთაც ამ ზაფხულს „ჩელსის“ მეპატრონე რომან აბრამოვიჩი შეიძენს. ჩუკოტკის მილიარდელ გუბერნატორს რიგში „ძილანის“ ანდრეი შევჩენკო და სავარაუდოდ, „ინტერის“ ადრიანო ან „კორინთიანსის“ კარლოს ტევესი ჰყავს. შესაძლოა ეს ორი სამხრეთამერიკელი რუსმა მაგნატმა ერთადაც იყიდოს.

მაურინიუ: „ბალაკი პირველია იმ რამდენიმედან, რომელთაც ვიყიდით. ჩვენ ბევრის შეძენა არ გვჭირდება, სულ ორს ან სამს დავიმატებთ. გუნდი უკვე გვაყვს, შესაქმნელი არ არის, უბრალოდ, უნდა გავაუმჯობესოთ თამაში, რათა უფრო მეტი ტიტულები მოვიპოვოთ. ჩემპიონების გუნდი რომ გაძლიერდეს ჩემპიონების დამატებაა საჭირო. ბალაკიც ასეთია და ის მოდის, რათა მომავალი მიზნის მიღწევაში დაგვეხმაროს“.

ინგლისური გაზეთების ცნობით, ბალაკი პრემიერლიგაში ყველაზე დიდხელფასიანი მოთამაშე იქნება, კვირაში 130 ათას გირვანქას მიიღებს.

პაპუნა კედია

ავსტრია

I დივიზიონი. XXXIII ტური

ალტახი — აუსტრია (მ) 2:2; კაპფენბერგი — ლეობენი 1:3; კერნტენი — გრატკორნი 2:1; კუფშტაინი — აუსტრია (ლ) 1:4; შვანენშტადტი — ლინცერი 2:2

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXXIV ტური

კრინსი — იუვენტუსი 0:0; ბოლმი — ლუცერნი 0:1; ბელინცონა — ვადუცი 0:0; კიასო — ვოლენი 5:0; ლუგანო — სიონი 0:3; მეირინი — ვინტერთური 1:1; კონკორდია — ბადენი 3:1; ლოკარნო — ვილი 3:1. შო დე ფონი — ლოზანა 1:0-ზე ჩაიშალა

სლოვაკეთი

I ლიგა. XXXII ტური

დუბნიცა — პეტრჟალკა 0:1; ნიტრა — ტრენჩინი 3:0; პუხოვი — ბანსკა ბისტრიცა 0:2; ტრნავა — ინტერი 0:0; ჟილინა — რუჟომბეროკი 1:2

მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი ნახევარფინალი საპასუხო მატჩები

სან ლუისი 2:1 ტოლუკა (2:1)
პაჩუკა 2:3 გვადალახარა (2:1)

დანია

I დივიზიონი. XXV ტური

ბრაბრანდი — ჰელერუპი 2:1; სკიოლდი — ჰერფიოლგე 1:1; ფრეზი — ნიკიობინგი 0:0; ფრემადი — ბრიონსჰიოი 2:1; იოლსტიკე — ფრედერისია 2:1; აკადემისკი — ვაილე 0:2; კიოგე — ლიუნგბიუ 3:1; რანდერსი — კოლდინგი 3:0

ნორვეგია

I დივიზიონი. VI ტური

ოსლო იოსტი — ბოდიო გლიმტი 0:3; ფოლო — კონგსვინგერი 2:3; ჰიოდი — ტრიომსდალენი 1:1; ჰიონეფოსი — ჰორს გრენლანდი 1:1; ლოვ ჰამი — ალესუნდი 0:1; მოსი — ჰაუგესუნდი 1:1; სპარტა — სოგნდალი 2:3; სტრიომსგოდსეტი — ბრინი 0:0

აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა VIII ტური

დალასი — ჰიუსტონი 1:1; ნიუ ინგლენდი — ჩივასი 3:1; კოლუმბუსი — კოლორადო 1:0; ვაშინგტონი — კანზასი 2:1; ნიუ იორკი — ჩიკაგო 1:1; ლოს ანჯელესი — სოლტ ლეიკი 0:3

უკრაინა

უმაღლესი ლიგა ოქროს მატჩი

დინამო 1:2 დ.დ.(1:1) შახტარი

ჩილე

პრიმერადივიზიონი. XVI ტური

ესპანიოლა — კობრესალი 3:0; რეინჯერსი — უანიპატო 1:3; ჰიგინსი — პუერტო მონტი 1:1; ლა სერენა — ევერტონი 2:2; იტალიანო — პალესტინო 2:2; კოლო კოლო — კოკიმბო 5:1; უონდერერსი — კონსეპსიონი 1:4; ანტოფაგასტა — კობრელოა 1:1; უნივერსიდად კათოლიკა — უნივერსიდად დე ჩილე 0:2

ისლანდია

პრემიერდივიზიონი. I ტური

გრინდავიკი — აკრანესი 3:2; ვესტმანაეიარი — კეფლავიკი 2:1; ვიკინგური — ფილკირი 0:2; რეიკიავიკი — ჰაფნარფიორდური 0:3. *ბრეიდაბლიკი — ვალიური წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)*

შვედეთი

სუპერეტა. V ტური

დეგერფორსი — ნორჩიოპინგი 1:2; ლიუნგსკილე — ვასბი 1:0; უმეა — ქვიდინგი 2:1; ფალკენბერგი — ბრომაპოიკარნა 1:2; ლანდსკრონა — იონკოპინგი 2:0; მიალბი — ასირისკა 2:2; ატვიდაბერგი — იორებრო 1:1. *სუნდსვალი — ტრელებორგი ხვალ გაიმართება*

არგენტინა

კლაუსურა. XIX ტური

რასინგი — ოლდ ბოისი 1:1; ხიმნასია (ლ) — ბანფილდი 0:2; სან ლორენსო — არსენალი 0:2; ინსტიტუტო — ველესი 1:1; არგ. ხუნიორსი — კოლონი 1:0; ხიმნასია (ხ) — ტირო ფედერალი 2:1; ლანუსი — ესტუდიანტესი 1:1; როსარიო — ინდეპენდიენტე 2:0; ბოკა ხუნიორსი — ოლიმპო 2:0. *კილმესი — რივერ პლეიტი 1:3-ზე ჩაიშალა*

იაპონია

თასის ჯგუფური ეტაპი IV ტური

იოკოჰამა — ურავა 1:2; ტოკიო — ფუკუოკა 0:1; ოიტა — კავაზაკი 0:2; კაშიმა — კიოტო 3:2; შიმიცუ — იჩიჰარა 1:0; ჰიროშიმა — ნიიგატა 0:0; ნაგოია — ოსაკა 1:1; ომია — კოფუ 1:0

ირლანდია

პრემიერდივიზიონი X ტური

ბოჰემიანსი — ბრეი 3:0; სენტ პატრიკსი — დერი 1:1; უოტერფორდი — დუბლინ სიტი 0:1; სლიგო — დროჰედა 0:0. *კორკი — შელბურნი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)*, დუბლინი — ლონგფორდი გადაიდო

ბრაზილია

სერია A. V ტური

ბოტაფოგო — გრემიო 2:2; სანტოსი — პონტე პრეტა 3:1; სან კეტანო — ფუვენტუდე 0:2; ფიგეირენსე — ფლუმინენსე 1:0; ინტერნასიონალი — სან პაულუ 3:1; პალმეირასი — კრუზეირო 1:1; სანტა კრუზი — ატლ. პარანენსე 1:2; ფლამენგო — ფორტალეზა 0:0; გოიასი — ვასკუ და გამა 2:0; პარანა — კორინთიანსი 1:2

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		21 მაისი						
18:00	263	ლიდსი-უოტფორდი	2.70	3.20	2.45	1.46	1.28	1.38
		ინგლისი. II ლიგა						
		16 მაისი						
22:45	2	გრიმსბი-ლინკოლნი	2.10	3.00	3.20	1.23	1.26	1.54
		18 მაისი						
22:45	3	ჩელტენჰემი-უიკომბი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ინგლისი. კონფერენსი						
		20 მაისი						
20:30	264	ჰერფორდი-ჰალიფაქსი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
		ავსტრია. I დივიზიონი						
		16 მაისი						
21:00	22	აუსტრია(ლ)-კაფენბერგი	1.25	4.50	10.00	1.00	1.11	3.10
21:00	23	აუსტრია(შ)-შვანენშტადტი	1.35	4.20	6.50	1.02	1.11	2.55
21:00	24	გრაზერი-კუფშტაინი	1.30	4.30	8.50	1.00	1.12	2.85
21:00	25	ლინცერი-კერნტენი	1.45	3.60	5.70	1.03	1.15	2.20
21:00	26	ლეობენი-ალტაი	3.10	3.20	2.00	1.57	1.21	1.23
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		16 მაისი						
23:00	51	ოსასუნა-ვალენსია	2.70	3.20	2.45	1.46	1.28	1.38
23:00	52	სევილია-რეალი	2.40	3.30	2.65	1.38	1.25	1.46
		რუსეთი						
		17 მაისი						
19:00	67	ზენიტი-როსტოვი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
		სლოვაკეთი						
		16 მაისი						
19:00	68	ბ.ბისტრიცა-ჟილინა	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
19:00	69	ინტერი-ნიტრა	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
19:00	70	რეჟომბერო�ა-პეტრჟალკა	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
21:30	71	ტრენჩინი-პუხოვი	1.90	3.40	3.20	1.21	1.19	1.64
21:30	72	ტრნავა-ლუბნიცა	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		16 მაისი						
20:00	81	ბრანი-ტრონჰეიმი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
20:00	82	ფრედრიქსტადი-სტაბეკი	2.45	3.20	2.70	1.38	1.28	1.46
20:00	83	ლილესტრომი-მოლდე	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
20:00	84	ლინი-ჰამარი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
20:00	85	როსენბორგი-ოდ გრენლანდი	1.55	3.70	5.00	1.09	1.18	2.12
20:00	86	ვიკინგი-ხანტენგიორდი	1.60	3.50	4.75	1.09	1.19	2.01
22:00	87	სტარტი-ვოლერენგა	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		16 მაისი						
20:00	94	ალესუნდი-ჰაუდი	1.30	4.70	7.20	1.01	1.10	2.84
20:00	95	ბოდიო გლიმტი-სტრომსგოდსეტი	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
20:00	96	ჰაუგესუნდი-ბრანი	2.55	3.30	2.35	1.43	1.22	1.37
20:00	97	კონგსვინგერი-მანგლერუდი	1.50	3.90	5.00	1.08	1.15	2.19
20:00	98	მოსი-სპარტა ნ	1.80	3.60	3.70	1.20	1.21	1.82
20:00	99	ჰორნ გრენლანდი-ფოლო	1.70	3.50	4.20	1.14	1.21	1.90
20:00	100	ხოგ�ლანდი-ლილ ჰამი	1.75	3.50	3.90	1.16	1.20	1.84
20:00	101	ტრომსდალენი-ჰაუგესუნი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
		შვედეთი. სუპერეტა						
		17 მაისი						
20:30	112	სუნდსვალი-ტრელებორგი	1.75	3.60	3.80	1.17	1.19	1.84
		ირლანდია						
		16 მაისი						
22:45	130	ბოგი-ლინგფორდი	2.45	2.90	2.70	1.32	1.28	1.39
		ჩემპიონთა ლიგა						
		17 მაისი						
22:45	163	ბარსელონა-არსენალი	2.00	3.10	3.75	1.21	1.30	1.69
		ამხანაგური მატჩები						
		16 მაისი						
22:45	265	ნიდერლანდია(21)-შოტლანდია(21)	3.70	3.40	1.75	1.77	1.18	1.15
17:00	266	უელსი(21)-ჯიბრალტარი(21)	1.30	4.50	7.40	1.00	1.10	2.79
		17 მაისი						
20:00	267	დანია(21)-ესპანეთი(21)	2.50	3.00	2.50	1.36	1.25	1.36
20:30	268	პოლანდია(21)-გერმანია(21)	2.25	3.10	2.90	1.30	1.26	1.49
		19 მაისი						
22:30	269	შოტლანდია(21)-თურქეთი(21)	3.00	3.10	2.20	1.52	1.26	1.28
		ფებბურთი. საერთაშორისო ტურნირი ტულონში(20)						
		16 მაისი						
20:30	191	პოლანდია(20)-კოლუმბია(20)	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
22:30	192	საფრანგეთი(20)-მექსიკა(20)	1.85	3.10	3.70	1.15	1.23	1.68
		ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი 2006 (ლატვია)						
		16 მაისი						
21:00	270	ლატვია-ნორვეგია	1.40	4.80	4.30	1.08	1.05	2.26
21:00	271	სლოვენეთი-უკრაინა	1.15	6.00	9.00	1.00	1.01	3.59
		კრივი						
		17 მაისი						
09:00	347	ა.მურდინი-დ.გრეინი	1.70	18.00	2.00			
		20 მაისი						
23:45	348	შ.ა.ბეიერა-რ.ხუარეზი	1.15	20.00	4.00			
		ზოგბურთი.ქალები.რაბატი.თახნარი						
		16 მაისი						
13:00	331	ბარტოლი-ს კლიმეტლი	1.35					2.60
13:00	332	შოსუნი-ვიშნიაკი	1.35					2.50
13:00	333	ხარკლეროიდი-პინი	1.65					1.90
13:00	334	სეკერა-მატეკი	1.70					1.90
13:00	335	იან ში-ჩუტანინი	1.40					2.30
		ზოგბურთი.კაცები.პამბურგი.თახნარი						
		16 მაისი						
13:00	308	ვიერინკა-სეპი	1.55					2.00
13:00	309	ფეფლერერი-შეტლერი	1.03					6.00
13:00	310	ძინფალინი-ბიურჯი	1.40					2.40
13:00	311	ფ ვინსალენი-ტურნუნიკი	1.05					5.00
13:00	312	ხრბატი-ფ მაიერი	1.35					2.60
13:00	313	გრეისანი-ჯანეფერი	1.35					2.70
13:00	314	ვილანდრი-პასანესი	1.25					3.30
13:00	315	აგასუნი-გრიეელი	1.25					3.30
13:00	316	გუედეია მარტინი	1.25					3.30
13:00	317	ხირნა-ბირნი	1.50					2.20
13:00	318	ნადალი-ჰაასი	1.08					5.20
13:00	319	სიმონი-რუსედსკი	1.40					2.40
13:00	320	კიფერი-მელზერი	1.70					1.85
		ზოგბურთი.კაცები.ზაგრები.თიხნარი						
		16 მაისი						
12:00	321	ალეგრო-ზაბალეტა	1.70					1.85
12:00	322	ბერლოკი-კინდლმანი	1.35					2.45
12:00	323	ლეკიმი-სეკერი	1.25					3.00
12:00	324	რ ლეკლადი-მარტინეზი	1.35					2.60
12:00	325	ჯაბლოვლეკოვიჩი-ბლეიმი	1.50					2.10
12:00	326	ტუბიტი-ტრეიეკი	1.80					1.70
12:00	327	ბოიტმანი-ლარსონი	1.30					3.00
12:00	328	ტიშარეფინი-ბურგსმულერი	1.35					2.50
12:00	329	ტუმარი-ვეკო	1.40					2.40
12:00	330	ხილიმი-ელენიმი	1.15					3.80
		ზოგბურთი.ქალები.რომი.თიხნარი						
		16 მაისი						
13:00	336	პირი-ზვონარეოვა	1.70					1.90
13:00	337	მედინა-კრეიბახი	1.30					2.85
13:00	338	სტუბიტსკა-მოლიკი	1.20					3.00
13:00	339	არვიდსონი-ვინჩი	2.00					1.60
13:00	340	ხანტუიტოვა-სტოსური	1.45					2.20
13:00	341	დიმიტროვა-ჰენგი	1.60					1.95
13:00	342	დიმანიოსკა-ნაფეტერა	1.40					2.40
13:00	343	გრეგორიანი-რაზანო	1.40					2.40
13:00	344	პენეტა-კ ბონდარენკო	1.20					3.00
13:00	345	ოპრანდი-ბრანდი	1.60					2.00
13:00	346	დ საფინა-პიუს ტეი	1.20					3.00

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10163	ბარსელონა-არსენალი	2.35	2.00	4.50	1.08	1.54	1.38

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11163	ბარსელონა-არსენალი	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12163 ბარსელონა-არსენალი --------- 1.55 ---------- 2.10

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13163 ბარსელონა-არსენალი --------- 1.60 ---------- 1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი ნაგებად ჩაითვლება)

14163 ბარსელონა-არსენალი --------- 1.60 ---------- 2.10

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15163	ბარსელონა-არსენალი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16163 ბარსელონა-არსენალი --------- 1.45 ---------- 2.50

გოლი:წყვილი-1ოუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17163 ბარსელონა-არსენალი --------- 1.85 ---------- 1.95

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18163 ბარსელონა-არსენალი --------- 1.45 ---------- 2.45

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

საქართველოს ჩემპიონატი
პლეი ოფი. ფინალი



ფერან დოლიძეაშვილის ფოტო

აზოტი — ავიამშენი 40 ქალოვანის თანხლებით

დღეს რუსთავის „ქიმიკოსთა“ დარბაზში ნემსს ვერ ჩააგდებ — მთლიანად იქნება გადაჭედილი და აბსოლუტური უმრავლესობა „აზოტს“ უქომაგებს, რომელსაც საკუთარი გულშემატკივრის მხარდაჭერა ახლა ისე სჭირდება, როგორც არასდროს. ქვემოქართლელები „ავიამშენთან“ ფინალურ სერიას 0:2 აგებენ და ერთი წაფორხილების უფლებაც არ აქვთ, თორემ ჩემპიონობის შანსს საბოლოოდ გამოეთხოვებიან.

რაც ზემოთ ვთქვით, კალათბურთის გულშემატკივარმა კარგად უწყის, თუმც ბევრმა ეგებ არც იცოდეს, რომ რუსთავში მატჩის უსაფრთხოებისთვის ორმოცამდე ძალოვანი იზრუნებს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ფინალური სერიის წინა, თბილისურ შეხვედრაში რუსთაველმა ქომაგებმა ზღვარს გადააჭარბეს და მოედანზე პლასტმასის ბოთლებთან ერთად მინისაც გადმოაგდეს.

რა მარჩიელობა უნდა იმას, რომ რუსთაველებს საკუთარ ქალაქში მეტი გული მიეცემათ და თუ „აზოტს“ გაუჭირდა, ვინძლო უწესრიგობამაც იფეთქოს. ქვემო ქართლის კალათბურთის ფედერაცია და ქარხანა „აზოტის“ ხელმძღვანელობა ამიტომაც ემზადებიან საგანგებოდ.

„რუსთავში არც ერთი მატჩი არ იმართება დაცვის გარეშე, თუმც ნახევარფინალებზე მეტი მობილიზება მოვახდინეთ და ფინალზე ხომ საერთოდ — გვითხრა ქვემო ქართლის კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მიხეილ ბერუაშვილმა — მატჩზე იქნება რაგორც ქარხნის დაცვა, ასევე პოლიცია, მთლიანობაში 40 კაცამდე. „ავიამშენის“ სამასპინძლოდ ყველაფერი მზად გვაქვს. უწესრიგობის ყველა გამოვლინებას უმალვე აღვკვეთთ“.

მაშ ასე, დღეს შესაძლოა, ახალი ჩემპიონი გამოვლინდეს, თუ, რა თქმა უნდა, „ავიამშენი“ იმარჯვებს. თუ არა და, მომდევნო მატჩი კვლავ რუსთავში გაიმართება 18 მაისს.

ირაკლი პერტაია

პირველი რუსული კმაყოფილება
ცინცაძეს მოსკოვის სჯერა

გახსოვთ, ბოლოს როდის იყო გიორგი ცინცაძე სეზონის შეფასებისას კმაყოფილი? რაც ოთხი წლის წინ რუსეთში ბედის საძებნელად წავიდა, მას შემდეგ საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა გამთამაშებელი მოედანზე საკუთარი თავის დასამკვიდრებლად იბრძვის და ეს წლევანდლამდე არც ერთ რუსულ კლუბში არ გამოუვიდა. თუ მას ცსკა-ში, „სამარასა“ და „ურალ გრეიტში“ ძირითადად სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა, მოსკოვის „დინამოში“ წლეულს ხშირ-ხშირად გადიოდა მოედანზე და არაერთი კარგი თამაშიც გამოაცხო. ერთი სიტყვით, ცინცაძე, რომელმაც „დინამოსთან“ ერთად ორიოდ კვირის წინ ულებ-ის პრესტიჟული თასი მოიგო, მოსკოვში გატარებული სეზონით კმაყოფილია და ეს მან გუშინ გვითხრა, როცა რუსეთიდან რამდენიმე დღით ჩამოსულ-ს შინ შევეხმიანეთ

— მეორე დღეა, ჩამოვედი და 17 ან 18 მაისს ისევ მოსკოვში მივდივარ. ხელმძღვანელობა განაწყენებულია, სეზონს ასე ადრე რომ მოვრჩი და 20 მაისიდან „დინამოს“ ახალგაზრდებს ხელახალი ვარჯიშები გვეწყება.

— მართლაც მოულოდნელი იყო, რუსეთის ჩემპიონატი ასე მალე რომ დაასრულეთ. „უნიკსთან“ მშრალი ანგარიშით წაგებას ალბათ არ ელოდით.

— „უნიკსს“ მოედნის უპირატესობა კი ჰქონდა და ყაზანში ორჯერვე დაგვამარცხა, მაგრამ ამასვე თუ მოსკოვშიც მოახერხებდა, არავინ ელოდა. „უნიკსი“ დიდი მონდომებით გვეთამაშა და მეოთხედფინალური სერია 3:0 მოგვიგო.

— შენ არც ერთ საპლეიოფო მატჩი არ გითამაშია. რატომ?

— ვარჯიშზე კუნთი გავიწყიტე და „უნიკსთან“ არც ერთ მატჩს განცხადში არ ვყოფილვარ. ტრავმა ჯერაც არ მაქვს ბოლომდე მორჩენილი.

— „დინამოსთან“ როდემდე გაქვს კონტრაქტი?

— სამწლიანი ხელშეკრულება მაქვს, ოღონდ 1+1+1 სახის. ანუ ყოველი სეზონის ბოლოსაა შესაძლებელი, კონტრაქტს გადაეხედოს თუმც ამის გაკეთებას ახლა არც მე ვაპირებ და არც „დინამოს“ ხელმძღვანელობა. უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონშიც ამ გუნდში ვითამაშებ.

— გამოდის, კმაყოფილი ხარ საკუთარი თამაშით და კლუბიც გემადლიერება...

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სეზონი უგუნდოდ დავიწყე და ერთხანს თბილისის „დინამოშიც“ ვიყავი ფორმის შესანარჩუნებლად, მოსკოვში გატარებული სეზონით უკმაყოფილო არ უნდა ვიყო. თანაც აქ უფრო ხშირად მიწევდა თამაში, ვიდრე ნებისმიერ რუსულ კლუბში, რომელშიც აქამდე ვყოფილვარ. „დინამოში“ ამ სეზონში 7-8 მატჩი დამამახსოვრდა, რომელშიც კარგად ვითამაშე. მოკლედ, განვლილი სეზონი ჩემთვის გაცილებით ნაყოფიერი იყო და ვეცდები, მომავალში კიდევ უფრო მოვუმატო.

— მალე საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი გორდონ ჰერბერტი საქმეს შეუდგება და ალბათ შენც გამოიძახებს. მზად ხარ?

— ნაკრებზე ლაპარაკი ამჯერად არ მინდა. რისი შესაძლებლობაც მექნება, ყველაფერს გავაკეთებ ეროვნული გუნდისთვის.

ირაკლი პერტაია

2006 NBA Playoffs

ძველი კანონირი ჯიბიდანაც ისვრის
სემ ჯასელმა ფინიქსი დაასველა

14 მაისი

მეორე რაუნდი
აღმოსავლეთი
მაიამი 3:1 ნიუ ჯერსი
ნიუ ჯერსი 92:102 მაიამი

ნიუ ჯერსი: კარტერი (26), კრსტიჩი (20 ქულა, 14 მოხსნა), კიდი (17 ქულა, 13 მოხსნა, 12 პასი), ჯეფერსონი (17)
მაიამი: ვეიდი (31 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), ჰასლემი (20 ქულა, 11 მოხსნა), უოლკერი (20), ონილი (16)

კარგი სპეციალისტია „ნიუ ჯერსი ნეთსის“ თავკაცი ლოურენს ფრენკი, შეგირდებიც გონიერ-ღონიერი ჰყავს, მაგრამ ნიუჯერსელები მაშინ შეცდნენ, როცა შაკილ ონილისგან მტრის ხატი შექმნეს და „მაიამი ჰითის“ ჯერაც მძლავრ, მაგრამ ოდნავ მობერებულ დეკკაცს ლამის მთელი ხუთეულით აედევნენ. ჩანს, 2002 წლის ფინალი და მაშინ „ლეიკერსში“ მოთამაშე შაკის ალიყურები დღემდე სტკივათ. შაკის დევნის ტაქტიკამ მხოლოდ სერიის პირველ მატჩში გაამართლა, მას მერე კი „ნიუ ჯერსი“ ერთთავად აგებს, შინაც და გარეთაც და პლეი ოფიდან გავარდნის საფრთხის პირასაც დადგა.

სანამ შაკს ერთბაშად ორი და ხშირად სამი მეურვე სდევნის, მისი მომცრო თანაგუნდელები თავიანთ და მასთან საერთო საქმეს აკეთებენ და „მაიამიც“ ერთ მოგებამდე მიუახლოვდა ზედიზედ მეორე აღმოსავლურ ფინალს.

„სულ არ გვიკვირს, სტუმრად ორივე მატჩი რომ მოვიგეთ. ახლა ძალიან კარგ ფორმაში ვართ და ასეთ დროს ძნელია ჩვენი დამარცხება. ახლა შინ ჩავალთ და სერიას მეხუთე ი.ამაშში დავხურავთ“ — „მაიამის“ ჯეელ ლიდერ დუეინ ვეიდს, თავადაც შეატყობთ, თავდაჯერება ნამდვილად არ აკლია არც ნამატჩევ კომენტარებში და არც კომენტარებამდელ მატჩში — აკი 31 ქულა ჩაუგდო მეტოქეს და მოხსნა-პასებიც ბლომად აკეთა. არც სხვათა მოუხსენიებლობა იქნება — „მაიამის“ ფორვარდებმა ანტუან უოლკერმა და უდონის ჰასლემმა 20-20 ქულა გაახერხეს და მესამე მეოთხედში, გარდამტეხ მომენტშიც სწორედ მათ მოახრევინეს ქედი ნიუჯერსელებს.

„ნიუ ჯერსის“ გამთამაშებელმა ჯეისონ კიდმა მე-9 საპლეიოფო სამმაგი დუბლი შეასრულა და მესამეადგილოსან უილტ ჩემბერლენს დაეწია. ახლა კიდს ერთი სამმაგი აკლია ლარი ბერდამდე, ამათზე წინ კი მხოლოდ მეჯიქ ჯონსონი დგას უნიკალური მაჩვენებლით — მას პლეი ოფებში 30 სამმაგი მოუხვეჭია და მას ალბათ ძალიან დიდხანს ვერავინ გაეტოლება.

დასავლეთი
ფინიქსი 2:2 ლიბერსი
კლიპერსი 114:107 ფინიქსი

კლიპერსი: ბრენდი (30 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), კასელი (28 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი), მაგეტი (18 ქულა, 15 მოხსნა)
ფინიქსი: ბელი (33), დიაუ (21 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), მერიონი (14 ქულა, 10 მოხსნა), ტომასი (13), ნეში (8 ქულა, 11 პასი)
ცხრიტიშვილი სათადარიგო იყო

ძველ მეპლეიოფე სემ კასელს ალბათ ისე ათრობს მატჩის ბოლო წუთების დაძაბულობა, როგორც ძველ კანონირს დენიის სუნი. ათასი ბრძოლის სუნშეტკბობილ ამ ძველ მეზარბაზნეს კრიტიკულ დროს მიეცით ბურთი და გამარჯვებას გაჩუქებთო, ამბობენ ნბა-ში და წლიდან წლამდე უყურებენ, როგორ კლავს კასელი თავის მეტოქეებს ბოლო წამებზე ზუსტი გასროლებით.

„ფინიქსთან“ სერიის მესამე თამაში „კლიპერსის“ 36 წლის გამთამაშებელს სამიზნე მოუშალა, ჩვეულად ვერ იბურთავა და მწვრთნელმა მაიკ დანლივიმ ბოლო მეოხედში ნახევარი წუთით ძლივს ათამაშა. კასელს არ სწყენია, პირიქით, საბრძოლოდ დაიმუხტა და... საფინალო სირენამდე 27 წამი რომ რჩებოდა, სამქულიანიც დააქუხა, რითაც „ფინიქსს“ მატჩის ხსნის შანსი საბოლოოდ მოუსპო.

„მესამე თამაშის ბოლო გამიცდა და ამაში დანლივის არ ვაღანაშაულებ. ოდესმე მეც გავხდები მწვრთნელი და ვარსკვლავს სკამზე მეც დავსვამ. მწვრთნელობა დაფაზე რაღაცეების ხაზვა კი არა, თამაშის რიტმის შეგრძნებაა“ — ამბობდა კასელი ნამატჩევს.

ესეც სათქმელია, რომ კიდევ ერთი თამაში ჩაუვარდა „ფინიქსის“ ლიდერს და რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშე სტივ ნეშს. ვერცხლისწყალა კანადელმა წინა შეხვედრაში 10 პასის წილ მხოლოდ 12 ქულა გაახერხა (სერიის პირველ მატჩში 31 ჰქონდა), ახლა კი ამდენსაც ვერ მოუყარა თავი.

კოტე ყორშია



კლიპერსელი სემ კასელი სტივ ნეშმა ვერ შეაჩერა

მთელი ევროპა ლუპის ქვეშ

დანარჩენი ტატამზე გამოჩნდება

ქართველი ძიუდოისტები ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ბორჯომში, სასტუმრო „ოლიმპში“ შეიკრიბნენ. ათი დღეც და შოთა ხაბარელი შვიდეული ფინური ტამპერეს გზას დაადგება. ევროშემადგენლობა დაახლოებით ერთი თვის წინ გაცხადდა, თუმც მწვრთნელმა შეკრებაზე მაინც იახლა ორმოცზე მეტი ძიუდოისტი

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

— საფინეთოდ მოვარჯიშე თითოეულ სპორტსმენს ხუთი-ექვსი კონკურენტი ჰყავს, რაც პირველ რიგში ისევ მათთვის უნდა იყოს მომგებიანი — გვითხრა ხაბარელმა, მორიგი ბორჯომული ვარჯიშის შემდეგ, ტელეფონით რომ შევეხმიანეთ.

— დღეში ორჯერ ვარჯიშობთ?

— ძირითადად ასეა, თუმც ზოგჯერ სამჯერაც. წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ვემზადებით.

— ბოლო შეკრებისთვის ფედერაციაში წლევანდელი ტურნირების ვიდეოჩანაწერებს ამზადებდნენ. უკვე გადმოგცეს?

— რა თქმა უნდა. კასეტები ბორჯომში წამოსვლამდე ჩაგვაბარეს და მათი გარჩევა დღის წესრიგშიც შევიტანეთ. უკვე გამოიკვეთნენ ის ძიუდოისტები, რომელთაც ევროპის ჩემპიონატზე მედლებისთვის უნდა იბრძოლონ. თითქმის ყველა მათგანზე დამზადდა კლიპები, რომლებშიც წლეულს ჩატარებული შეხვედრებია გაერთიანებული. დამონტაჟდა ჩვენი ნაკრების წევრთა ჭიდაობის ამსახველი კადრებიც და ახლა თითოეულთან ინდივიდუალურად ვმუშაობთ. ამ მეთოდის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა. ბიჭები თვალნათლივ ხედავენ, სად რა შეცდომა დაუშვეს და რომელ მეტოქეს როგორ უნდა ეჭიდაონ.

— ტრავმა ხომ არ აწუხებს რომელიმეს?

— ღვთის წყალობით ყველაფერი რიგზეა. დავით ქევხიშვილს და ლაშა გუჯეჯიანს აწუხებდათ მცირე ტრავმები ბორჯომული შეკრების დაწყებამდე, თუმც ამის გამო არც ერთი ვარჯიში არ გამოუტოვებიათ. დღესაც სრულად დაიტვირთნენ.

— შეკრებას როდის დაასრულებთ?

— თბილისში 23 მაისს დავბრუნდებით. ფინეთში კი ტურნირის დაწყებამდე ერთი დღით ადრე — 25-ში ჩავალთ.

— წინასწარი გეგმით ტამპერეში რამდენიმე დღით ადრე უნდა წასულიყავით. რატომ გადაიფიქრეთ?

— დარწმუნებული ვარ, სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. საქმისთვის ასე ავჯობებს.

— თუ საიდუმლო არ არის, რამდენ მედალს გეგმავთ?

— პროგნოზს არ გავაკეთებ. ყველაფერი ტატამზე გამოჩნდება. მთავარია, ჩემპიონატამდე დარჩენილ ათ დღეში ბიჭებმა ოპტიმალურ ფორმას მიაღწიონ. ასეც უნდა იყოს, ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის.

ოთარ გაღლაკელიძე



მონღოლმა ხაკუხომ ბულგარელი კოტოოშიუ დაამარცხა

კოკაი შიძენდმა ჩა-ხუთა

მაისის ბაშოზე ცხრა ტურის შემდეგ ლევან ცაგურიას ანგარიშზე ოთხი ქულაა. მინუს-ბალანსის გამოსწორებას კოკაი დღეს ტიონოსიმასთან ორთაბრძოლაში შეეცდება.

უქმეები ქართველმა სეკიტორმა ორი მარცხით ჩაიმწარა. შაბათს მოყვარულებში იაპონიის ექსჩემპიონ ფუტენოსთან წააგო, ხოლო კვირას გამოცდილ ტოჩინონადასთან. გუშინ კი ხასიათი და სატურნირო მდგომარეობა 34 წლის ექსსეკივაკე ტამაკუსუგას ძლევით გამოიკვეთა.

იმპერატორის თასთან ჯერჯერობით ყველაზე ახლოს სეკივაკე მიაბიამა და ორი ოძეკი ხაკუხო და ტიოტაიკაი არიან რვა-რვა ქულით. კვირამდე ტიოტაიკაი ერთპიროვნულად ლიდერობდა, თუმც მონღოლ ასასეკირიუსთან დაუცდა ფეხი. ეს უკანასკნელი ტურნირს გამორჩეულად კარგად ჭიდაობს და ბევრმა აქედანვე აღიარა კოკუგიკანის ბაშოს სიურპრიზად. „წითელ დრაკონად“ მონათლულმა იოკოძუნა ასასიორუს თანაგუნდელმა და ახლო მეგობარმა წინა კვირაში სამი ოძეკის წაქცევა მოასწრო, ჯამში კი შვიდი ქულა დააგროვა და ლიდერთა ტრიოს კვალში უდგას. ასასეკირიუს გვერდით გამაგრებულან ვეტერანი ოძეკი კაიო და რიგითი მაეგაშირები — კიოკუსუძანი და ბალტი.

ბაშოს დასრულებამდე კი ექვსი ტური რჩება.

ოთარ გაღლაკელიძე

14 მაისი. ბელგრადი

სერბეთი 10:45 საქართველო

საქართველო: ასათიანი, გუგავა, ნამჩევაძე, გილაური, კობერიძე, კვირიკაშვილი, სორდია, აშვეთია, ყურაშვილი, ხოსიტაშვილი, მხეიძე, სუთიაშვილი, კობახიძე (კაპ)

შეცვლაზე შევიდნენ: უდესიანი, ახვლედიანი, ჩიკვილაძე, ნემსაძე;

მლ: კვირიკაშვილი (3), ნემსაძე, ასათიანი, უდესიანი, გუგავა (2); *ნგ:* კვირიკაშვილი; *1ა:* კვირიკაშვილი

სერბეთი დავალიგავეთ, ახლა ჰოლანდიის ჯერია

საქართველოს 13-კაცა ანუ რაგბილიგის ნაკრებმა სეზონი სერბეთის მინგრევით დაიწყო. ყოფილი ბორჯღალოსნების, ახლა კი ჩვენი რაგბილიგის ფედერაციის მოხელეების და მოთამაშე მწვრთნელების კახა ალანიას და კახა კობახიძის გაწვრთნილმა ქართველებმა ბელგრადში მასპინძლებისგან ქვა ქვაზე არ დატოვეს.

სერბეთს არ ჰყავს სუსტი გუნდი. მეტიც, მათი სამი მორაგბე 13-კაცა რაგბის ინგლისის ნახევრად პროფესიულ კლუბებში ირიცხებიან, ხოლო სერბთა ლიდერი ლუკა სიმეუნოვიჩი კი სულაც პირველი პროფესიული ლიგის კლუბის „ჰალიფაქსის“ წევრია.

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

მერაბ კვირიკაშვილი

ეს მატჩი ავსტრალიაში გასამართი 2008 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპისა იყო. ჩვენები ოთხგუნდა ტურნირს თამაშობენ, სადაც ქართველების გარდა სერბეთი, ჰოლანდია და რუსეთი არიან. ამათგან ორი საუკეთესო დაემატება უელსს, ლიბანს, ირლანდიას და შოტლანდიას, რათა 2006-07 წლების ორწლიანი ერთა თასის პროგრამით 10-გუნდა მსოფლიოს თასის ორი საგზურისთვის იბრძოლოსო.

სერბეთში საქართველოს ნაკრები ერთბაშად ხუთი ახალბედათი ჩავიდა. მანუჩარ ნამჩევაძე, მერაბ კვირიკაშვილი, გიორგი სორდია, თორნიკე აშვეთია და როინ ჩიკვაიძე პირველად თამაშობდნენ 13-კაცა რაგბის. ამათგან განსაკუთრებით გამოირჩა მერაბ კვირიკაშვილი, ვინც ჯერ კიდევ 2003 წელს ავსტრალიაში გამართულ მსოფლიოს თასზე კლოდ სორელისეულ ნაკრებში რაგბობდა. კვირიკაშვილმა ჩვენებს პირადად მოუნაგრა 25 ქულა და ქართული რაგბილიგის ახალი ვარსკვლავი შეიქნა.

„ცამეტი ქართველი“ 26 მაისს ვაკეში, „ლოკომოტივზე“ დაუხვდება ჰოლანდიას, ხოლო 24 ივნისს რუსეთს ეთამაშება მოსკოვში. ტურნირის პირველი დღით ჩვენები ჯგუფის ლიდერები არიან, რაკი რუსეთმა სტუმრად ჰოლანდიას 40:14 მოუგო და ბურთების სხვაობით ჩამორჩა ქართველებს.

ბაჩო სვანიძე

აი, ეს ქალები რუბენისისაა

ლატვიის ქალთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იანის რუბენისმა ის შემადგენლობა გააცხადა, რომელსაც თბილისში ჩამოიყვანეს სათამაშოდ.

26-28 მაისს სპორტის სასახლეში 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჯგუფური ეტაპის პირველი წრე გაიმართება. საქართველოსა და ლატვიის ნაკრებების გარდა ჯგუფში საფრანგეთი და გერმანია არიან. ჯგუფის მეორე წრე ერთი კვირის შემდეგ საფრანგეთში გაიმართება.

ლატვიის ნაკრები 19 ფრენბურთელით ჩამოვა. ამათგან შვიდი ლეგიონერია. ვიქტორია ბრიცე და ტატიანა სამოდანოვა თურქეთის ჩემპიონატში თამაშობენ, ინეს ბეკერე და ევა მარტინსონი შედეთის ლიგაში, სვეტლანა დუკულე და სანდა ცილე ამერიკაში ბურთაობენ, ხოლო ლატვიელთა ლიდერი და ბომბარდიდი ოლგა ტოცკო ფრანგული „კანის“ მთავარმექუელე და ვიქტორია რავას დაქალია.

ლატვიის ნაკრების სრული შემადგენლობა ასეთია: ვიქტორია ბრიცე, ოლგა ტოცკო, ტატიანა სამოდანოვა, სანდრა ბრიესკა, ირინა ბანდულე, კრისტინ პაჩკეგა, სვეტლანა დუკულე, ალექსანდრა ტიბოვსკა, სვეტლანა კონდრატიევა, ლიგა ბრიედე, ელინა ტაბერე, უნდა ბრიდიტე, სვეტლანა გაიდულოვა, ინეს ბეკერე, ევა მარტინსონი, ლიგა მურნიეკ, სანდა ცილე, ანე უბანა.

პირველი წრის განრიგი

26 მაისი
საქართველო — საფრანგეთი
ლატვია — გერმანია

27 მაისი
საქართველო — გერმანია
ლატვია — საფრანგეთი

28 მაისი
საქართველო — ლატვია
საფრანგეთი — გერმანია

ნადალი ვილასს დაეწია

პეტროვამ კი შარაპოვას გაასწრო



AFP რომიდან

რაფაელ ნადალმა რომაული თასი ზედიზედ მეორედ ჩაბიჩა

კაცები

მასტერსი

რომი. თიხნარი

საპრიზო 2 450 000 $

ფინალი

რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) 6:7 7:6 6:4 2:6 7:6

ქალები

ბერლინი. თიხნარი

საპრიზო 1 340 000 $

ფინალი

ნადია პეტროვა (2, რუსეთი) — **ჟუსტინ ენენ-არდენი** (3, ბელგია) 4:6 6:4 7:5

რაფაელ ნადალმა რომის მასტერსის მოგებით არგენტინელი გილერმო კილასის მიერ დამყარებუ ლი რეკორდი გაიმეორა — თინეიჯერი ესპანელი თიხნარზე ზედიზედ 53 მატჩია, ოვებს. მისი სათამაშო ფორმიდან გამომდინარე კი, ალბათ, ცოტას ეპარება ეჭვი იმაში, რომ ესპანელი მზეჭაბუკი ამ რეკორდს უახლოეს დღეებში — ჰამბურგში გაუმჯობესებს.

თუმც რომის მასტერსის 2006 წლის ფინალის გახსენებისას ნადალის რეკორდი, ალბათ, მეორე ადგილზე გადინაცვლებს, რადგანაც თავდაპირველად თვითონ ფინალურ მატჩზე და ესპანელისა და როჯერ ფედერერის მიერ შემოთავაზებულ ულამაზეს ორთაბრძოლაზე უნდა ითქვას: იტალიის დედაქალაქში კვირა საღამოს დაუვიწყარი მატჩი შედგა.

ორივე ჩოგბურთელმა — ნადალმაც და ფედერერმაც — ბოლომდე თავგანწირულად იბრძოლა, ორივეს დიდი მოტივაცია ჰქონდა — ესპანელს უკვე ხსენებული რეკორდის გამეორება ეწადა, შვეიცარიელს კი უნდოდა, ყველასთვის ეჩვენებინა, რომ მას თავისთვის მეტად უხერხულ თიხნარზეც შეუძლია ნადალთან თანაბარი თამაში.

უნდა ითქვას, რომ ორივემ მიაღწია საწადელს — ესპანელზე მოგახსენეთ, „მხიარული როჯერზე“ კი თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ ამ ფინალში ნაჩვენები თამაშით მან დაამტკიცა, რომ მზადაა „როლან გაროსის“ მოსაგებად.

ამ ეპიკურ, 5 საათსა და 5 წუთს გაწელილ შეხვედრაში კი ნამდვილი ბრძოლა იყო არათუ ყოველ სეტში, არამედ ყოველი გათამაშების დროს. გადამწყვეტი ინიციატივის მოპოვება ვერავინ შეძლო — ასეთ შემთხვევაში კი მთავარ ფაქტორად ნერვები იქცევა ხოლმე და საბოლოოდ ამ მხრივ ოდნავ ნადალს გაუმართლა.

არადა, ესპანელს ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა დამარცხებამდე — მეხუთე სეტში ანგარიშზე 5:6, თავის მოწოდებაზე ის 15:40 აგებდა, მაგრამ პირინეელი ვერც ამან გატეხა — ამ მეტად ძნელი მომენტის მიუხედავად, ძალიან აქტიურად შეუტია და ფედერერი აიძულა, ორჯერ ზედიზედ დაეშვა შეცდომა ბექჰენდზე. მალე ნადალმა ანგარიშიც გაათანაბრა, ათიოდ წუთში ტაიბრეიკიც მოიგო და ფედერერს წლეულს აგერ უკვე მესამე ფინალში აჯობა.

„აქ შარშანაც ძალიან მძიმე ფინალი მქონდა (გილერმო კორიასთან), მაგრამ როჯერი მაინც როჯერია და მასთან თამაში ათჯერ უფრო ძნელია. ამიტომ ეს მოგება ჩემთვის განსაკუთრებულია. როცა მას მატჩ-პოინტები ჰქონდა, ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა, თორემ ისე მათ განეიტრალებას ვერაფრით მოვახერხებდი. ეს უკვე ჩემი მეექვსე მოგებული მასტერსია, დიდებულია“ — ხარობდა ნადალი ჟურნალისტების წინაშე.

„ჩემი ბრალია, უნდა მომეგო და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გამეშვა ხელიდან ჩემი შანსი. თუმცა ჩემთვის მთავარი ისაა, რომ მონტე-კარლოსთან შედარებით მოვუმატე, ბევრი კომპონენტი გავაუმჯობესე და თიხნარსაც საკმაოდ გავუშინაურდი. ვფიქრობ, „როლან გაროსისთვის“ კარგ ფორმაში ვიქნები. რაფა კი დღეს ფანტასტიკური იყო“ — ასეთი გახლდათ ფედერერის მოკლე კომენტარი.

აი, ნადია პეტროვამ კი შური იძია ჟუსტინ ენენ-არდენზე ცალკე საკუთარი, ცალკე კი რუსული ჩოგბურთის სახელით. მართლაც, ამ ბოლო კვირებში ბელგიელმა სლავები ფრიად გაამწარა — ჯერ ფედერაციის თასის გათამაშებაში ლომის წილი დაიდო რუსების დამარცხებაში, ბერლინში კი ფინალის გზაზე კიდევ ორი რუსი ქალბატონი „შემოელახა“.

უნდა ითქვას, რომ ენენს ფინალის მოგებაც შეეძლო, მაგრამ პეტროვამ მონახა საკუთარ თავში საკმარისი ძალა თამაშის შემოსაბრუნებლად და ბელგიელს მეათე ურთიერთშეხვედრისას მხოლოდ მეორედ მოუგო.

პეტროვა კი სტაბილური ჩოგბურთელის სტატუსიდან თანდათანობით და მყარად გადადის ელიტაში — წლეულს მან უკვე მესამე ტურნირი მოიგო, რეიტინგში კი თანამემამულე მარია შარაპოვას მესამე ადგილი წაართვა. მოკლედ, დამდეგ „როლან გაროსზე“ პეტროვა ერთ-ერთი ფავორიტის რანგში ჩადის.

„მხოლოდ საკუთარი ბრძოლისუნარიანობის წყალობით მოვიგე. ძალიან დაღლილი ვიყავი, ველარც ვურტყამდი და სირბილიც მიჭირდა, მაგრამ მაინც მოვახერხე ასეთი ძლიერი მეტოქის ძლევა. უბედნიერესი ვარ. ახლა ჩემი ოცნების ახდენაზე — „დიდი მუზარადის“ რომელიმე ტურნირის მოგებაზეც შეიძლება ფიქრი“ — სერიოზულ მიზნებს ისახავს პეტროვა.

ქახა ლომაშვილი

AFP ბარსელონიდან

მეფე ალონსო

ფერნანდო საკუთარმა სისწრაფემ გაასვირვა

Formula 1

დიდი საჩემპიონო ეიფორიაა ესპანეთში, კვირას ბარსელონაში ფერნანდო ალონსომ ყველას აჯობა მორიგ საპირველფორმულო რბოლაში და პოდიუმზე თასი ესპანეთის მეფე ხუან კარლოსისგან ჩაიბარა. ესპანეთში აქამდე ესპანელ მრბოლებს არ მოეგოთ და, ცხადია, პირინეელებმა თვისტომის გამარჯვება ღირსეულად აღნიშნეს. ავტოდრომზე 130 ათასიანი ინჩადა აღფრთოვანებისგან მეცხრე ცაზე იყო, ხოლო თავად ესპანეთის ხელმწიფე, ღირსეული დონ ხუან კარლოს ბურბონი ნანდოს ტრიუმფს სიხარულით შეეგება, ყოჩაღ ფერნანდო, შვილო, გადასარევი რბოლა იყოო. გამარჯვების მეორე დღეს ესპანური გაზეთების თავფურცელზე ზოგან „მეფე ალონსო“ ეწერა, ზოგან „ფიესტა ალონსო“, ერთგან კი მარტივად და კონკრეტულად — „გადავლით“. „კატალუნია მონტმელოს“ გმირს მადრიდული „ასი“ გაესაუბრა

— ფერნანდო, მართლაც შესანიშნავი რბოლა იყო...

— დიახ, საქმეები ჩემთვის და მთლიანად გუნდისთვის ბრწყინვალედ წარიმართა. კარგად ვიმუშავეთ, თუმცა რბოლის დაწყებამდე ვფიქრობდით, რომ „ფერარის“ ხალხის ჯობნა გაგვიძნელდებოდა. გამარჯვებისგან უდიდესი სიხარული ვიგრძენი. მინდა, ჩემს გულშემატკივრებს გულითადი მადლობა ვუთხრა. მათი ქომაგობით მანქანას მაქსიმუმი შევაძლებინე და პირველი ადგილიც გვერგო.

— ეს თქვენი საუკეთესო რბოლა იყო?

— ვფიქრობ, რომ კი. საკუთარმა სისწრაფემ გამაკვირვა. უკვე მეშინოდა, რომ მანქანა ველარ გაუძლებდა, თუმც ღმერთის შეწევნით ყველაფერი კარგად დასრულდა. არ მეგონა, თუ ჩემს თანაგუნდელ ფიზიკოზე ასე სწრაფად ვივლიდი.

— ადრე თუ განგიცდიათ მსგავსი სიხარული?

— სიხარული კი, მღელვარება არა. როცა ჩემს უკან მიხაელ შუმახერის ბოლიდს და ტრიბუნებზე გახარებულ ინჩასებს ვხედავდი, საშინლად ვინერვიულე. ამ ხალხის გულისტკენა არ შეიძლებოდა.

— „კატალუნია მონტმელოს“ რბოლას შარშანდელ ბრაზილიის დიდ პრიზს ხომ არ შეადარებდით — მაშინ ჩემპიონის ტიტული მოიგეთ...

— ბრაზილიაში ტიტულის ასაღებად პირველადგილოსნობა არ მჭირდებოდა, აქ კი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მომეგო. ასე რომ, აზარტი და სიამოვნება ჩემთვის უფრო ესპანეთის დიდ პრიზს უკავშირდება.

— გამარჯვება მეფემ მოგილოცათ...

— მისმა უდიდებულესობამ მითხრა, საერთოდ პროგნოზები არ მიყვარს, თუმცა რბოლამდე ყველას ვეუბნებოდი, უეჭველად ალონსო მოიგებსო. მეფის ხელიდან თასის მიღება დიდი პატივია ჩემთვის.

— ეს კვირადღე ფანტასტიკური იყო — დანიელ პედროსამ „მოტო გრან პრი“ მოიგო, თქვენ „კატალუნია მონტმელო“ და რაფაელ ნადალმა კიდევ ჩოგბურთში მიაღწია დიდ წარმატებას. ჩანს, მსოფლიო სპორტს ესპანეთი „მართავს“.

— ეს გამარჯვებები ჩვენი ქვეყნის სპორტს აძლიერებს და მეც ძალიან კმაყოფილი ვარ, ისევე, როგორც სხვა უამრავი გულშემატკივარი.

პლეი ოფი 2006

მეორე ეტაპი

14 მაისი

აღმოსავლეთი

ჯაროლინა 4:1 ნიუ ჯერსი

ჯაროლინა 4:1 ნიუ ჯერსი

1:1 1:0 2:0

0:1 ჯიონტა (1), 1:1 კაბერლე (9), 2:1 სტილმანი (35), 3:1 უიტნი (48), 4:1 სტაალი (59)

დასავლეთი

სან ხოსე 2:3 ედმონტონი

სან ხოსე 3:6 ედმონტონი

0:1 1:1 2:4

0:1 პიზანი (9), 1:1 ს. ტორნტონი (25), 1:2 რ. სმიტი (27), 1:3 ჰორკოფი (41), 2:3 ერჰოფი (41), 3:3 ჩიჩუ (43), 3:4 პიზანი (45), 3:5 სტოლი (54), 3:6 რ. სმიტი (57)

მსოფლიოს ჩემპიონატი

E ჯგუფი

ჩეხეთი 6:4 კანადა

ფინეთი 3:0 ნორვეგია

F ჯგუფი

შვედეთი 2:5 სლოვაკეთი

რუსეთი 6:3 შვეიცარია

ჯირო დიტალია 2006. 6-28 მაისი

ბასო ჯიროს ჯარს გაექცა



ივან ბასო ფავორიტის სტატუსს ამართლებს

ტურ დე ფრანსის შემდეგ რანგით და პრესტიჟით მსოფლიოს მეორე ველოტურ ჯირო დიტალიას საერთო ჩათვლაში მერვე ეტაპის შემდეგ იტალიელი ივან ბასო დაწინაურდა. აპენინის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროზე 171 კილომეტრზე გაჭიმული ეტაპის ორი მესამედი ადრიატიკის პირას ლარივით გაჭიმულ გზაზე მიედინებოდა და პელოტონში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მესამე მესამედიდან კი გზა მთა-გორაკებს შეუყვა და ბარე 25-კილომეტრიანი აღმართით დასრულდა. ბასომაც აქ იხელთა დრო, მრბოლთა ჯგროს ფინიშამდე 4 კილომეტრით ადრე გაექცა და მთავარ კონკურენტებს, ჯიროს შარშანწინ მომგებ დამიანო კუნეგოსა და ხოსე ენრიკე გუტიერესს ფინიშთან 30 წამით მიასწრო.

ახლა ბასო წუთსა და 34 წამს უგებს უახლოეს მდევარ გუტიერესს და ოდნავ მეტს კუნეგოს. ველოტურის შარშანდელი ჩემპიონი პაოლო სავოლდელი კი საერთო ჩათვლაში მეოთხეა და ბასოს ორნახევარი წუთით ჩამორჩება.

ამერის გოლები ამერის შვილებმაც გაიტანეს

გუნდის დამუხტვის ბევრი ხერხი არსებობს, ეს ხერხი კი, ვფიქრობთ, აქამდე არსად არავის გამოუყენებია — საქართველოში მაინც: ფეხბურთელები მატჩის წინ ბავშვებთან ერთად რომ გამოდიან ხოლმე, საქართველოს თასის ფინალზე ამერელებმა შვილები გამოიყვანეს... ზუკა დავითაშვილი, თენგო ხვადაგიანი და მათთან ერთად ცხრა სხვა ბავშვი ფინალის მონაწილენი შეიქნენ და ფეხბურთელებს მათი ღირსების დასაცავადაც მოუხდათ ბრძოლა.

ნამატჩევს კი იყო ემოციები, რომლებიც მეორდება ყოველ ფინალში, ყოველთვის განუმეორებელია და, რა თქმა უნდა, აქვეა კონტრასტიც: ზოგი შამპანურით წუწაობს, ზოგს კი ბალახში ჩაურგავს თავი.

ემოციები კი, რა გასაკვირია, გასახდელსაც ავსებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი პირველად სტუმრობს „ამერის“ გასახდელს, გიორგი ჩიხრაძემ და მიხეილ ჯიშკარიანმა კი ისევ ერთად აღმართეს თასი — 6 წლის წინ, ფეხბურთელობისას მათ ერთად მოიგეს საქართველოს თასი და იგივე მწვრთნელობისასაც გაიმეორეს.

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ
ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ

სარბიელი

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, �პᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

გამომცემელი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲨᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲫᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
მთავარი რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲖᲠᲘᲐᲣᲚᲘ
პასუხისმგებელი რედაქტორი ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ
ტექნიკური რედაქტორი ᲛᲐᲨᲣᲙᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ᲕᲐᲣᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარვანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲕᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ http://www.sarbieli.com.ge

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ: 38-11-14, 877 54 55 00